# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 24 მარტი 2004 №65 (2084) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ შეგეშინდეთ, ეს კარგია!



## ქართულ ფეხბურთში ფულის სუნი დატრიალდა

ლოკომოტივიც გაიყიდება და ნაკრებს ზესტაფონელი ავსტრიელებიც გააფულიანებენ

# დეპორტაცია




REUTERS მილანიდან

# ყველაზე ტკბილი კაკა

## მილანმა დეპორტივო გააკვნიტა

## ჩემპიონთა ლიგა
### 1/4 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ

**მილანი (იტალია) 4:1 დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი)**
0:1 პანდიანი (11), 1:1 კაკა (45), 2:1 შევჩენკო (46), 3:1 კაკა (49), 4:1 პირლო (53)
მილანი: დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, მალდინი, პანკარო (სერჟინიო 73), გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო (ტომასონი 84), ინძაგი (ამბროზინი 79)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
დეპორტივო: მოლინა, სკალონი, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, კაპდევილა, სერხიო (მანუელ პაბლო 81), მაურო სილვა, დუშერი (ფრანი 66), ვალერონი, პანდიანი, ლუკე (ტრისტანი 83)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: სკალონი (48), კოსტაკურტა (59)
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
60 335 მაყურებელი

**პორტუ (პორტუგალია) 2:0 ლიონი (საფრანგეთი)**
1:0 დეკო სოუზა (44), 2:0 კარვალიუ (71)
პორტუ: ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, პედრუ ემანუელი, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, ალენიჩევი (რ. ფერნანდეში 82), კოშტინია (ბოსინგვა 78), მანიშე, დეკო სოუზა, მაკკარტი, კარლოს ალბერტო (იანკაუსკასი 58)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ლიონი: კუპე, დეფლანდრე (რეველიერი 73), ედმილსონი, მიულერი, მალუდა, ჟუნინიო პერნამბუკანო (დორასო 46), ლუინდულა, მ. დიარა, ესიენი, ელბერი, გოვუ
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
გაფრთხილება: ნუნუ ვალენტე (33), მალუდა (61), ბოსინგვა (83), მიულერი (89), ფერნანდეში (90)
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
46 910 მაყურებელი



პორტუ — ლიონი. ფრანგებს ერთი დეკო სოუზამაც (მარცხნივ) უთავაზა

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ძრიუ 2:0 სტოკი
შეფილდ იუნ. 1:1 დერბი ქაუნთი
სანდერლენდი 2:1 ჯილინგემი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ჩესტერფილდი 1:2 კოლჩესტერი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

სკანთორპი 2:3 კარლაილი
მენსფილდი 1:1 სუონსი

**კონფერენსლიგა**
**გადადებული მატჩები**

სკარბორო 2:3 ექსეტერი
შრიუსბერი 1:2 ალდერშოტი
ტელფორდი 0:2 ფორესტ გრინი

## შოტლანდია

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**

რეინჯერსი 4:1 დანფერმლაინი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

რეითი 3:1 ქუინი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

დამბარტონი 4:0 სტენჰაუზმური
ფორფარი 1:3 ერდრი
მორტონი 2:1 ბერვიკი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ისტ სტირლინგი — სტრანრარი
*დღეს გაიმართება*

## ავსტრია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ბლაიბერგი — ლინცერი *გადაიდო*
ლეობენი — კაპფენბერგი *გადაიდო*

**თასის მერვედფინალი**

ლუსტენაუ 1:1დ.დ.(პენ.1:3, 0:0) *ბრეგენცი*
რიდი 3:1 უნტერზიბენბრიუნი
შტურმი 2:0 პაშინგი
ადმირა 0:2 მატერსბურგი
ტიროლი 1:2 გრაცერი

## ბელგია

**იუპილერლიგა**
**გადადებული მატჩი**

ანდერლეხტი 6:0 ჰეუსდენი

## სლოვაკეთი

**პირველი ლიგა**
**გადადებული მატჩი**

ტრნავა 0:1 ტრენჩინი

## გერმანია

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩი**

პფულენდორფი 1:1 ელვერსბერგი

## რუსეთი

**თასის მერვედფინალი**
**საპასუხო მატჩი**

ურალანი 0:1 *ცსკა* (0:4)

## ხორვატია

**თასის მეოთხედფინალი**
**საპასუხო მატჩი**

ჰაიდუკი 0:1 *ციბალია* (0:0)

# ეს ჯადო სიტყვა ინვესტიცია!
## ფულს სუნი აქვს და [illegible] სასიამოვნოც, როცა მოდის

*დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია შვედეთს მიემგზავრება. ის ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის 50 წლის იუბილეზეა დაპატიჟებული. პრეზიდენტთან ერთად შვედებმა გენერალური მდივანიც მიიწვიეს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ფედერაციაში ეს პოსტი ამჟამად თავისუფალია და პრეზიდენტსაც მარტოს მოუწევს მგზავრობა.*

*შვედეთამდე კი, გუშინ, მერაბ ჟორდანიამ ფედერაციაში ჟურნალისტებს დაგვიძახა და პრესკონფერენცია გამართა. ორიოდ დღის წინ მორიგი ევროპული მივლინებიდან დაბრუნებულ პრეზიდენტს კითხვები ბლომად დახვდა — აქეთ ბოსკამპი და ახალგაზრდული ნაკრები, იქით გასაყიდი კლუბი და ქართულ ფეხბურთში დიდი ინვესტიციების მოზიდვა, ეროვნული გუნდის ახალი სპონსორი და გენმდივნის ვაკანტური ადგილი...*

*მერაბ ჟორდანია გვპასუხობს...*



ფეხბურთის ფედერაციას „ყაზბეგთან“ ერთად სანაკრებოდ ავსტრიელებიც შეეშველებიან

...საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის დანიშვნა საუკეთესო ვარიანტად მიმაჩნია. მას ორიოდ დღის წინ ვესაუბრე და საბოლოო მოლაპარაკებისთვის შეხვედრა მანჰაიმში დავუთქვი. ბოსკამპი გერმანიაში 29-30 მარტს ჩამოვა და საქართველოს ნაკრების ამხანაგურ მატჩსაც დაესწრება. თუ ის ახალგაზრდულის მწვრთნელობაზე დაგვთანხმდა, არაა გამორიცხული, საქართველოში ჩამოსულმა რომელიმე გუნდიც ჩაიბაროს.

...ქართულ ფეხბურთში სოლიდურ ინვესტიციებზე და ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის სერიოზულ პროექტებზე მუშაობა დაწყებულია, თუმც ინვესტიციები ამ სეზონისას არ გაკეთდება, ჩემპიონატის მიმდინარეობისას ცვლილებები გაუმართლებელი იქნება. ასევე გეტყვით, რომ კლუბი, რომელიც შესაძლოა გაიყიდოს, თბილისის „ლოკომოტივია“, ყოველ შემთხვევაში, იმ უცხოურ ჯგუფს, რომელიც ინვესტიციებით მოსვლას აპირებს, უმაღლესი ლიგის გუნდი სურს და ისინი „ლოკომოტივს“ ყველაზე რეალურ ვარიანტად განიხილავენ. ნებისმიერი ინვესტორის ჩამოსვლა და ჩვენთან ფულის დაბანდება თავისთავად მისასალმებელი ფაქტია. როცა განიხილებოდა „ლოკომოტივის“ საკითხი, საუბარი იყო ასევე სხვა მნიშვნელოვან პროექტებზეც. ამ საქმეში ფედერაცია მაშინ ჩაერევა, თუ ჩვენი მოთხოვნებიც იქნება გათვალისწინებული. ფიფა-უეფასგან მისაღებ დახმარებასაც სწორედ ასეთ შემთხვევაში მოვახმართ ამ პროექტს. ფედერაციის ინტერესები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული. რამდენადაც ვიცი, პროექტის წინააღმდეგი არც სახელმწიფოა და პრეზიდენტი ინფორმირებულია.

...სხვათა შორის, როცა ინვესტიციების თაობაზე საქართველოში ლაპარაკი დაიწყო, „კოლხეთის“, „ბათუმისა“ და „სპარტაკის“ წარმომადგენლებმა მომმართეს. ისინი მზად არიან უცხოელ ინვესტორებთან სათანამშრომლოდ.

...როგორც ვთქვი, პროექტის განხორციელება უახლოეს პერიოდში არ მოხდება, თუმც შეხვედრა-მოლაპარაკებები სახელმწიფოს, ინვესტორებისა და ფედერაციის მონაწილეობით, ალბათ, აპრილში დაიწყება. დაწვრილებითაც მაშინ ვისაუბროთ. ინვესტორთა ვინაობას ვერ დავაკონკრეტებ, ხოლო რომელი კომპანია აპირებს აქ ჩამოსვლას, არ ვიცი.

...რამდენიმე წუთის წინ დავამთავრე საუბარი ერთ-ერთი ავსტრიული კომპანიის ხელმძღვანელებთან და შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ეს ფირმა საქართველოს ნაკრების სპონსორი იქნება. კონტრაქტის თითქმის ყველა დეტალი უკვე შეთანხმებულია და გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი თანამშრომლობა ოფიციალურად გაფორმდება. ავსტრიელებთან ფიფას ლიცენზირებულმა აგენტმა ილია კოკაიამ დაგვაკავშირა და მისი მადლობლები ვართ. ნაკრების გენერალური სპონსორი „ყაზბეგი“ კია, მაგრამ ეს ფირმა უფრო დიდ დახმარებას გაგვიწევს. გენერალური სპონსორის სახელზე მათ პრეტენზია არ აქვთ და არც არანაირი ფინანსური დაინტერესება. ეროვნული გუნდის სპონსორობა ხომ ნებისმიერი კომპანიისთვის პრესტიჟული საქმეა.

...ავსტრიელების გარდა, არ არის გამორიცხული, ნაკრების სპონსორობა ქართულმა „ტელე-იმედმაც“ იკისროს. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების მატჩების ტრანსლირების უფლება ამ ტელეკომპანიას აქვს და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

...საქართველოს პრეზიდენტი ფეხბურთით დაინტერესებულია, ამის დასტური ისიცაა, რომ საფრანგეთში ვიზიტისას მიხეილ სააკაშვილი თავად შეხვდა მიშელ პლატინის, ერთ-ერთ გავლენიან ფიგურას და ალბათ უეფას მომავალ პრეზიდენტს. პლატინი ქართული ფეხბურთისადმი საკმაოდ კეთილგანწყობილია. ხშირად კი პირად ურთიერთობებსაც შეუძლია ბევრი საქმის გაკეთება.

...ვისაც კი ურთიერთობა ჰქონდა ფედერაციის ყოფილ გენმდივან ვალერი ჩოლარიასთან, დამეთანხმება, რომ ის თავის საქმეს უზადოდ ასრულებდა. მისი შრომისმოყვარეობა, სამუშაოს მასშტაბი, ცოდნა — ყველაფერი ეს ერთად იყო შერწყმული ამ კაცში და მისი შემცვლელის მოძებნა იოლი საქმე არაა. მაქვს ერთი პროექტი — ფედერაციის საქმიანობის ყოველ მიმართულებას თავისი დირექტორი ჰყავდეს. ასეა უეფაშიც, თუმც იქ არის გენერალური მდივანიც და ათამდე დირექტორი. მსურს, ჩვენშიც ასე იყოს. ალბათ, ხუთი დირექტორი გვეყოლება.

რევაზ არველაძე, რომან შოთაძე, ვლადიმერ გუცაევი, ნოდარ ახალკაცი — ხშირად ისმის ხოლმე, რომ ისინი გენმდივნობის კანდიდატები არიან. გეტყვით, რომ არველაძე და შოთაძე ამ ეტაპზე საკმაოდ სერიოზულ მიმართულებებს უხელმძღვანელებენ. გუცაევი ჩემი მეგობარია, მასთან ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ის ბოლო დროს უფრო პოლიტიკითაა დაკავებული. ნოდარ ახალკაცს კი ალბათ მანჰაიმში შევხვდები. მასთან აქამდეც მქონდა საუბარი და ფედერაციაში სამსახურის შეთავაზება მსურდა, მაგრამ ის ჯერჯერობით სწავლობს და ჩამოსვლას ვერ ახერხებს. ნოდარ ახალკაცი ფედერაციისთვის მისაღები კადრია და მსურს, ჩვენს გუნდში იყოს.

**ქოგა ინასარიძე**

# შირესის ნათლობა განათდება

**20.30** | **23.30**

**ალენ შირესის** ქართული ნათლობა 30 მარტს მანჰაიმში მოხდება გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან. პუნქტუალურმა გერმანელებმა კი უკვე განსაზღვრეს მატჩის დაწყების დრო — შუაევროპულად საღამოს ცხრის ნახევარი — 30 მარტი სამშაბათი გახლავთ, არაუქმე დღე და იქაური გულშემატკივარი თამაშს ხომ უნდა დაესწროს?!

მოკლედ, მატჩი განათებულ სტადიონზე გაიმართება და იქაური დროით 20.30-ზე, თბილისის დროით კი 23.30-ზე დაიწყება.

*საქართველოს ნაკრების ახალი სპონსორი „ფერო" იქნება, დიახ, ნუ გაიკვირვებთ, „ფერო" ანუ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა.*

*ჯერჯერობით ეს საქმე მთლად ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, თუმც ბევრიც არაფერი უკლია. ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და „ფეროს" აქციათა საკონტროლო პაკეტის მომავალი მფლობელი, ავსტრიული „დეკომეტალ ტრეიდინგის" ხელმძღვანელობა ამას წინათ ერთმანეთსაც შეხვედრიან და საფუძვლიანადაც უსაუბრიათ*

# ავსტრიელები ინდუსტრიას და ნაკრებს აშენებენ

— დიახ, მერაბ ჟორდანია და „დეკომეტალის" ხელმძღვანელობა რამდენიმე დღის წინ შევახვედრე ერთმანეთს, მათ დღესაც ისაუბრეს — გვითხრა ამ გარიგების მოთავემ, ფიფას ლიცენზირებულმა აგენტმა ილია კოკაიამ — იქამდე კი ავსტრიელებს მე ველაპარაკე და მათ თავად გამოთქვეს საქართველოს ნაკრების სპონსორობის სურვილი. ავსტრიელებს სურთ, რომ აალორძინონ ქართული ინდუსტრია და ქართულ ფეხბურთს დაეხმარონ.

**— უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრების სპონსორები ავსტრიელები იქნებიან?**

— 2 აპრილს პრეზენტაციაზე ჟურნალისტებსაც დაპატიჟებენ. მანამდე კონტრაქტს იურისტები ნახავენ.

**— ესე იგი, საქართველოს ნაკრების სპონსორი შეემატა...**

— ეს ალბათ სააქციო საზოგადოება „ფერო" იქნება, თუმც შესაძლოა, სპონსორი ავსტრიული კომპანია იყოს.

**— ავსტრიელებმა „ფერო" იყიდეს?**

— ავსტრიელები ყიდულობენ საკონტროლო პაკეტს. კომპანია „დეკომეტალს" დიდი სურვილი აქვს, ნაკრების სპონსორი იყოს. მაგრამ ჯერ არაა გადაწყვეტილი, სპონსორობას „ფერო" გასწევს თუ „დეკომეტალი".

**— თუმცა, ყველა შემთხვევაში ნაკრების სპონსორები ავსტრიელები იქნებიან.**

— დიახ, ასეა, „ფეროს" საკონტროლო პაკეტს ხომ „დეკომეტალი" ყიდულობს.

**კობა ინასარიძე**

# პროექტი პროტექტორით



## ბოსკამპი გერმანიაში ილაპარაკებს

**27 მარტს** ალენ ჟირესი პირველად შეკრებს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, მაგრამ არა საქართველოში — ჟირესი გუნდს მანჰაიმში მოუყრის თავს, რათა 30 მარტს გერმანიის ოლიმპიურ ნაკრებს ამხანაგურად ეркინოს.

მანჰაიმში აპირებს ჩასვლას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი იოჰან ბოსკამპიც — ჰოლანდიელს გუშინ ვესაუბრეთ ტელეფონით და გვითხრა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოლაპარაკებების გამართვა სწორედ მანჰაიმში შესთავაზა.

მოკლედ, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ბოსკამპი და ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია მანჰაიმში შეხვდებიან ერთმანეთს და ბოსკამპი 30 მარტის თამაშსაც დაესწრება. ბოსკამპის მანჰაიმური ვიზიტი იმათაცაა მნიშვნელოვანი, რომ ჰოლანდიელი შესაძლოა თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელიც გახდეს — „სარბიელმა" ადრეც გაუწყათ, რომ „ლოკომოტივის" შეძენით ერთობ დაინტერესებულნი არიან რუსი ინვესტორები და პროექტის ერთ-ერთი ღერძი სწორედ ისეთი ბოსკამპი გახლავთ, ვინც პარალელურად ახალგაზრდულ ნაკრებშიც იმუშავებს.

**დავით თავართქილაძე**

# ვაი ვაიექიმისგან

## გახოკიძე მკურნალებმა დააშავეს!

*წლევანდელი სეზონი გოგა გახოკიძის კარიერაში უდავოდ ყველაზე წარმატებულია და ვაგლახ, ჰოლანდიური „ტვენტეს" ქართველ ნახევარმცველს იღბალმა ზურგი აქცია — გუშინწინ „უტრეხტთან" მატჩში შეცვლაზე შესული მძიმედ დაშავდა. ენსხედელებმა ის მატჩი 0:2 წააგეს, თუმც მწვრთნელები ამაზე მეტად გახოკიძის ტრავმას აღუშფოთებია და, როგორც თავად გოგამ გვითხრა, ნამატჩევს გუნდის ექიმებთან საკმაოდ მკაცრი ლაპარაკიც ჰქონიათ.*

*მოკლედ, გახოკიძეს, სულ მცირე, სამკვირიანი უქმობა მოუწევს, რაც „ტვენტესთვის" დიდი დანაკლისია. გუშინ გოგას ენსხედეში დავუკავშირდით და მისი ამბები დაწვრილებით გამოვკითხეთ, მანამდე კი დაღონებულმა შემოგვჩივლა...*

— ახლა ასეთი ტრავმა იქნებოდა?! ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. კარგ ფორმაში ვიყავი, გუნდიც ხეირიანად თამაშობდა... ახლა კი...

**— რა დიაგნოზი გითხრეს?**

— კუნთი დამეჭიმა და თან რაღაც მონაკვეთზე გაიხა. სამკვირიანი დასვენება გამოწერილი მაქვს.

**— კუნთმა „ბრედასთან" თასის ნახევარფინალშიც შეგაწუხა...**

— ზუსტად ეგ დამეჭიმა. „ბრედასთან" თავის დამატებულ დროიანად 120 წუთი ვითამაშე და ამხელა დატვირთვისგან ამტკივდა, მაგრამ ექიმებმა მითხრეს, საშიში არააო. მერე „ნაიმეგენთან" შეცვლაზე ვითამაშე... არადა, ვგრძნობდი, მორჩენილი არ იყო.

**— მაშინ „უტრეხტთან" მაინც რაღას ითამაშე?**

— მეც მაგას ვჩივი. ყველას ვეუბნებოდი, ფეხი მტკივა და ვერ ვითამაშებ-მეთქი, მაგრამ ვინ დამიჯერა?

**— კი მაგრამ, დაჯერება-არდაჯერება რა შუაშია, ექიმებმა არ იცოდნენ?**

— ექიმებმა მწვრთნელს უთხრეს, 15-20 წუთით შეძლებს თამაშსო. აღმოჩნდა, რომ შეცდნენ.

**— მწვრთნელმა ნამატჩევს რაო?**

— გაგიჟებული იყო, ექიმებს დაერია, ცრუ ინფორმაცია მომაწოდეთ და მეორედ არ გაპატიებთო. ამას უკვე რაღა აზრი აქვს. ახლა უნდა ვიმკურნალო და თასის ფინალისთვის მოვმჯობინდე. ფინალში სწორედ „უტრეხტს" ვხვდებით და დიდი იმედი მაქვს, რომ მოვუგებთ.



**— სამი კვირის მერე გუნდთან ერთად განაახლებ ვარჯიშს?**

— მგონი კი. ახლა ყოველდღე რაღაც სხივები და სხვადასხვა პროცედურები მაქვს დანიშნული. ერთ კვირაში ალბათ ველოტრენაჟორზე ვივარჯიშებ. ექიმებმა მითხრეს, კიდევ კარგად გადარჩი, კუნთი რომ გაწყვეტილიყო, 6-8 კვირა მოგიწევდა მკურნალობაო.

**— გუნდზეც ვთქვათ. თასის ფინალში გასვლის მერე ჩემპიონატში მოისუსტეთ: შინ „ნაიმეგენთან" 2:5 წააგეთ, ახლა კი „უტრეხტთან" 0:2. ჩათვალეთ, რომ ფინალში გასვლით ყველაფერი დამთავრდა?**

— ასე გამოდის. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონატს იმდენად დიდ ყურადღებას აღარ ვაქცევთ. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ მთელი ძალით არ ვთამაშობთ. ასე რომ ყოფილიყო, „უტრეხტთან" ტრავმირებულს რატომ მათამაშებდნენ?! უბრალოდ, ფიქრებით ფინალში ვართ. თასის მოგება ხომ უეფას თასისკენ გვიხსნის გზას, რაც ჩემპიონატიდან ძალიან გაგვიჭირდება. ასე რომ, თასი ჩვენი სამიზნეა.

**კახა ზალამბერიძე**

## მიხეილ აშვეთია:

# მე და მახო შევუზმერავთ

*დღეს მოსკოვის „ლოკომოტივი" რუსეთის თასის მერვედფინალში ყაზანის „რუბინს" ხვდება და საგარეო 1:1-ის შემდეგ კარგი შანსი აქვს, მომდევნო ეტაპზე გავიდეს. რკინიგზელები „რუბინს" ერთი ქართველით დაუხვდებიან — მალხაზ ასათიანი ტრავმირებულია, მიხეილ აშვეთიამ კი სეზონი „მშრალად" დაიწყო და ახლა კბილებს ილესავს. აშვეთიას გუშინ მოსკოვში შევეხმიანეთ და რკინიგზულ ამბებზე ვესაუბრეთ...*



— ახლა შეკრებაზე ვართ და „რუბინთან" სათამაშოდ ვემზადებით. დატვირთული კალენდარი კი გვაქვს, მაგრამ ამას უკვე არაფერი ეშველება. ახლა მთავარია, „რუბინი" დავამარცხოთ და თასისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ.

**— ახლახან „ამკართან" მოულოდნელად ფრე ითამაშეთ...**

— ეს თამაში მთელმა გუნდმა ჩააგდო. ამიტომ შედეგიც კანონზომიერი მივიღეთ.

**— სტუმრებს პენალტი რომ გაეტანათ, საერთოდ უქულოდ დარჩებოდით...**

— სამართლიანი პენალტი არ იყო და მაგიტომაც გაგვიმართლა. ისე, ოვჩინიკოვმაც ბრწყინვალედ ითამაშა და გადაგვარჩინა. ერთი სიტყვით, ისე ცუდად ვითამაშეთ, რომ ფრე გულდასაწყვეტი არ არის. ისე გამოვიდა, თითქოს ქულა ჩვენ ავიღეთ, „ამკარმა" კი ორი ქულა დაკარგა.

**— ტრავმირებული მალხაზ ასათიანის არყოფნა დიდად დაგეტყოთ?**

— დაცვაში ძალიან გაგვიჭირდა. ასათიანი რომ არ იყო, იმიტომ კი არ ვამბობ. უბრალოდ, გადაწყობა გართულდა. მანამდე ხომ მახოს „თავის ჭკუაზე" ჰყავდა შეკრული დაცვა. მალე ისიც დაგვიბრუნდება და მერე ერთად შევუზმერავთ.

**— შენ კი ჯერაც უგოლოდ ხარ...**

— სულ ასეა, თავიდან მიჭირს ხოლმე. ჯერ მხოლოდ სამი თამაში მოვილიეთ. თან ჩემპიონთა ლიგის მერე რუსეთის ჩემპიონატზე გადაწყობა გაგვიძნელდა. გადაღლილებიც ვართ... მაგრამ შარშანდელი არ განმეორდება.

**— რას გულისხმობ? შარშან „ალანიაში" პირველი წრე საერთოდ უგოლოდ რომ ჩაამთავრე?**

— ეს გამორიცხულია, ასე აღარ მოხდება! მალე ძველებურად ავთამაშდები.

**— რუსი ჟურნალისტების თქმით, პირველ ორ ტურში გამოჩნდა, რომ ფიზიკურად ძალიან გიჭირს...**

— რომელ ლოკომოტიველს არ უჭირს?! ფაქტია, სასურველ ფორმაში არ ვართ.

**— ამ სეზონში „ლოკომოტივის" მიზანი ალბათ ჩემპიონობაა, რომელიც შარშან ცსკა-მ წაგართვათ...**

— აბა, სხვა რა უნდა დაგვისახონ? ჩემპიონობა ჩვენი უმთავრესი მიზანია.

**— შენი აზრით, კონკურენტები რომელი კლუბები არიან?**

— ცსკა და „ზენიტი". ორივე კარგი გუნდია და დიდ წინააღმდეგობასაც გაგვიწევენ.

**— 30 მარტს საქართველოს ნაკრებს ამხანაგური მატჩი აქვს. გერმანიაში მიდიხარ?**

— რა თქმა უნდა. ნაკრებიდან მიწვევა უკვე მივიღე და მე და გიორგი ლომაია პირდაპირ მანჰაიმში ჩავაკითხავთ გუნდს.

**კახა ზალამბერიძე**

# ივო 200



„დინამო“—„ბათუმის“ 22 მარტის სათასო დაპირისპირება „ეროვნულზე“ არაუშავს თამაში გამოდგა. დინამოელებმა დიდი უპირატესობა საკმაო ხანი ვერ აქციეს გოლად და ეს პირველად 72-ე წუთზეღა შეძლეს: გოგობერიშვილმა ლამაზი კომბინაცია შედეგიანი დარტყმით დაასრულა.

ბათუმელები თითქოს ახლოს იყვნენ საპატიო და სახეირო მინიმალურ სხვაობასთან, მაგრამ იმავ გოგობერიშვილმა მეორედაც დაამწუხრა სტუმრები. დინამოელის მიერ 90-ე წუთზე გატანილი გოლი კი მე-200 აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც „დინამოს“ ივო შუშაკი წვრთნის. ეს 200 ბურთი საქართველოს ჩემპიონატის, თასის და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებში გავიდა.

შუშაკის „დინამომ“ ეს ორასი გოლი 94 თამაშში გაიტანა.

**დავით ერაძე**



შუშაკის „დინამომ“ გოლები „ბათუმთან“ დაამთავრა

# ჩემი პირველი ირაო

სპორტის აკადემიამ ახლახან ბავშვთა ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრი, რომელშიც 1994 წელს დაბადებულთა 16 თბილისური გუნდი მონაწილეობდა, რვა დღეს გაგრძელდა.

თექვსმეტი მონაწილიდან ნახევარფინალში გასულნი ასე დაწყვილდნენ: „ირაო“ — „საბურთალო“ და „მიმინო“ — „დინამო“. პირველი წყვილის შეხვედრა გოლუხვი, ლაღი და საამო საცქერი იყო. „ირაომ“ მეტოქე 7:3 დაამარცხა. „დინამოს“ და „მიმინოს“ შორის გამარჯვებულის გამოვლენას კი პენალტების სერია დასჭირდა და საბოლოოდ პატარა დინამოელებმა იძალეს.

ფინალი ფინალის საკადრისი გამოდგა, დაძაბული და გოლმწირი. მატჩის ბედი შესვენებამდე გადაწყდა, როცა ირაოელმა სანდრო გურეშიძემ მოხდენილი თავურით გაიტანა.

ამ პირველი ტურნირის გარდამავალი თასი „ირაოს“ ფეხბურთელებს გადაეცათ. მათვე ერგოთ დაწესებულ პრიზთა უმეტესობა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად სანდრო ჭილლაძე აღიარეს, საუკეთესო გამთამაშებლად რეზი ომანაძე, მცველებში პირველობა არავის დაუთმო ჯეკო ყანჩაშვილმა, ხოლო ულამაზესი გოლის ავტორი სანდრო გურეშიძე გახდა. „ირაოს“ ბავშვთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ლევან ანდღულაძეა, მწვრთნელი კი თამაზ ოდიშელიძე.



## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

### საბერძნეთი

# ოტო რეჰაგელმა ლეგიონერებს დაუსტვინა

მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე საბერძნეთი 31 მარტს ჩვენთვის კარგად ნაცნობ შვეიცარიასთან ამხანაგურად ითამაშებს. შეგახსენებთ, მუნდიალის შესარჩევამდე ბერძნებს ზაფხულში ევროპის ჩემპიონატი ელით და ოტო რეჰაგელიც საამტურნიროდ ამზადებს გუნდს. თუმც ელინელთა ამბები ჩვენთვის უინტერესო მაინც არ უნდა იყოს. რეჰაგელმა შვეიცარიასთან სათამაშოდ ჯერ მხოლოდ ლეგიონერები შეარჩია, რასაც მომავალ უქმეებზე საბერძნეთის ჩემპიონატში მონაწილეებსაც მიამატებს. ლეგიონერთა სია კი ასეთია: *ტრაიანოს დელასი („რომა“, იტალია), ნიკოს დაბიზასი („ლესტერი“, ინგლისი), ჰანაიოტის ფისასი („ბენფიკა“ პორტუგალია), სტელიოს იანკოპულოსი („ბოლტონი“, ინგლისი), გეორგიოს კარაგუნისი („ინტერი“ იტალია), დემის ნიკოლაიდისი („ატლეტიკო“ ესპანეთი), ზისის ვრიზასი („ფიორენტინა“ იტალია), იოანის ამანატიდისი („აინტრახტი“, გერმანია) და ანგელოს ხარისტეასი („ვერდერი“ გერმანია).*



# იაკოვენკომ ბელარუსი გადაიკიდა

### უკრაინა



**სანამ საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები უმწვრთნელოდაა, ჩვენი მეტოქე უკრაინის გუნდი შესარჩევი ციკლისთვის მზადების გაწამაწიაშია. 31 მარტს უკრაინელი 21-წლამდელები ქალაქ სტიპში მასპინძელ მაკედონიას გაეჯიბრებიან ამხანაგურად. უკრაინელთა თავკაცმა პაველ იაკოვენკომ საამმატჩოდ 20 ფეხბურთელი შეიგულა:

**მეკარეები:** *სტანისლავ ბოგუში („მეტალურგი“ ზაპოროჟიე), ანდრეი პიატოვი („ვორსკლა“), ევგენი შირიაევი („ჩერნომორეცი“ ოდესა);*

**მცველები:** *ევგენი ჩებერიაჩკო („ზაკარპატიე“), დმიტრი ჩიგირინსკი („შახტარი“), ოლეგ გუმენიუკი („შერიფი“, მოლდოვა), ნიკოლაი იშჩენკო („კარპატი“), ლიუბომირ ივანსკი („კარპატი“), ანდრეი ხანსი („მეტალისტი“), ალექსანდრ იაცენკო („დინამო“);*

**ნახევარმცველები:** *ალექსეი გოდინი („მეტალურგი“ ზაპოროჟიე), დენის გოლაიდო („ტავრია“), რუსლან ერმოლენკო („მეტალისტი“), ტარას მიხალიკი (ცსკა კიევი), ანდრეი ობერემკო („დინამო“), სერგეი ფილიპჩუკი („მეტალისტი“);*

**თავდამსხმელები:** *დმიტრი ბროვკინი („მეტალისტი“), არტიომ მილევსკი („დინამო“), ვიტალი ნესინი („დნიპრო“), სერგეი პივნენკო („შახტარი“).*

როგორც ხედავთ, პაველ იაკოვენკოს რჩეულთა შორის კიევის დინამოელი არტიომ მილევსკიცაა, ვინც ბელარუსშია დაბადებულ-გაზრდილი. უკრაინელები მის „შებმას“ რა ხანია, ცდილობენ და საამისოდ ფიფა-უეფაში სირბილიც დასჭირდათ, თუმც, როგორც ჩანს, ეს საქმე ასე არ დამთავრდება — ბელარუსებმა უკან არ დაიხიეს და დღე-დღეზე ჩივილს აპირებენ.



არტიომ მილევსკი

# მე თქვენ განახებთ ბურდულს

*კიევის „დინამოში“ სინჯებისას მიღებული ტრავმა საკმაოდ ძვირად დაუჯდა ლადო ბურდულს — გამზადებული ტრანსფერი ხომ ჩაეშალა და ფორმა-კალაპოტიდანაც ამოვარდა. თითქმის ორთვიანი უქმობის შემდეგ ფეხბურთს დანატრებული ბურდული მოედანს უბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, ლადოს ახლა გაცილებით იშვიათად მოუწევს თეთრხალათიანებთან სირბილი. გუშინ მან „დინამოსთან“ ერთად უბურთოდ ივარჯიშა:*

— 12 წუთი ვირბინე, შემდეგ ტრენაჟორებზე ვივარჯიშე, მართალია, ტკივილებს ოდნავ ისევ ვგრძნობ, მაგრამ იმ ტრავმის შემდეგ, რაც მქონდა, ეს ნორმალური ამბავია. ბურთთან ვარჯიში კი ჯერაც მეკრძალება.

**— სირბილის დროს კოჭი ისევ გაწუხებს?**

— ვკოჭლობსავით, მაგრამ ეს უფრო ფსიქოლოგიური მომენტია და ქვეცნობიერად ხდება. რენტგენი რომ გადავიღე, გაკვირვება ვერ დამალეს, ახალწარმოქმნილი ქსოვილი იმდენად კარგადაა აღდგენილი. თუმცა, ახალ ქსოვილს ჯერ კიდევ სჭირდებს გაფრთხილება — ძლიერ დატვირთვებს ათი დღე მაინც მოვერიდები.

**— რას გეუბნებიან, ლობანოვსკის თასისთვის ანუ მაისისთვის მომჯობინდები?**

— ეგრე იქნებაო და მეც ეგ მინდა. კიევში აუცილებლად უნდა ვითამაშო. იქ ისეთ ბურდულს ნახავენ, როგორიც ადრე იყო. ეს ტურნირი ჩემთვის დიდი გამოწვევაა და ყველაფერს ვაკეთებ საიმისოდ, ფორმაში რომ ჩავდგე. გული იმაზე მწყდება, რომ გერმანიაში ნაკრებთან ვერ ვიქნები და ქირესი საქმეში ვერ მნახავს.

**დავით ერაძე**



# ლიდსის ათი ფინალი

## თქვენ შეცდით, ვაილი!



ვან ბუიტენის გაძევებას პენალტი და მარკ ვიდუკას გოლი მოჰყვა



ამ დროს ანგარიში 1:1 იყო, ჯერ კიდევ პირველი ტაიმისა. „ლიდსი“ 23-ე წუთზე კევინ მაკფაილმა დააწინაურა მარჯვნიდან ჩახვეული საჯარიმო დარტყმით. ეს იყო მაკფაილის პირველი გოლი 1999 წლის დეკემბრის შემდეგ. საერთოდ, თამაში იმგვარი იყო, რომ ბურთი ძელებსაც ხვდებოდა ხოლმე. ნიკოლა ანელკამ ტაიმის მიწურულს საუცხოო დარტყმით გაათანაბრა, რაც ამ სეზონში მისი 21-ე გოლი გამოდგა.

კევინ კიგანს ძალიან ეწყინა ამგვარად წაგება და თამაშის შემდეგ მსაჯს უსაყვედურა კიდეც: „თუ ის პატიოსანი კაცია, ჩანაწერს ნახავს და იტყვის, რომ შეცდა...“

ვაილი ის მსაჯია, რომელმაც ანელკა მინდვრიდან გააძევა „არსენალ“—„სიტის“ მატჩში ერთი თვის წინათ. კიგანმა კი დაიჩივლა: „არ ვიცი, რა დავუშავეთ ამ მსაჯს. რაღაცა გავაკეთეთ და ჯილდოდ ქულაც ვერ მივიღეთ. მისტერ ვაილის საქმე არ არის „ლიდსის“ დახმარება. ისინი თავად მოახერხებენ ამას“.

მიღებულმა სამმა ქულამ კი ბოლო ადგილიდან დაძრა „ლიდსი“, რომელიც ახლა ორი ქულითღა ჩამორჩება ბოლოდან მეოთხე ადგილზე მყოფ „ლესტერს“. იორკშირელთა მენეჯერი ედი გრეი კი გახარებულია: „თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი, რომ დარჩენილი ათი ტური ათი თასის ფინალია დ ყველა უნდა მოვიგოთ“.

**ირაკლი ბამყრელიძე**

### ინგლისი

**პრემიერლიგა. XXIX ტური**

**ლიდსი 2:1 მანჩესტერ სიტი**

1:0 მაკფაილი (23), 1:1 ანელკა (44), 2:1 ვიდუკა (76პ)

ლიდსი: პ. რობინსონი, კელი, ს. კოლდუელი, მატეო, დომი, პენანტი, მაკფაილი, სეტ ჯონსონი, მილნერი, ვიდუკა, ა. სმიტი

მწვრთნელი: ედი გრეი

მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, რ. დანი, ვან ბუიტენი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, სიბიერსკი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი (ფიხაი 82), ანელკა, ფაულერი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გაფრთხილება: ვიდუკა, ჯონსონი, ფიხაი

გაძევება: ვან ბუიტენი (75)

მსაჯი: ვაილი

36 998 მაყურებელი

„ლიდსს“ ფინანსური გადარჩენის დღეები უდგას — იორკშირულმა კონსორციუმმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა კლუბის ყიდვა. ამავე დროს, „ლიდსი“ საფეხბურთო გადარჩენისთვისაც იბრძვის, რისი შედეგიც ისაა, რომ ორშაბათ საღამოს „ელანდ როუდზე“ „მანჩესტერ სიტი“ დაამარცხა.

თამაში, რომელშიც „ლიდსი“ „სიტის“ არ სჯობდა, მოიგეს მასპინძლებმა მარკ ვიდუკას გატანილი პენალტი, რომელიც არ იყო. მსაჯმა ალან ვაილიმ ჩათვალა, რომ დანიელ ვან ბუიტენმა საჯარიმოს შიგნით მოცელა ალან სმიტი, პენალტიც დანიშნა და ბელგიელიც გააძევა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 29 | 22 | 7 | 0 | 57:19 | 73 |
| ჩელსი | 29 | 20 | 4 | 5 | 52:21 | 64 |
| მანჩესტერი | 29 | 19 | 4 | 6 | 55:29 | 61 |
| ლივერპული | 29 | 12 | 9 | 8 | 42:31 | 45 |
| ნიუკასლი | 29 | 11 | 12 | 6 | 41:30 | 45 |
| ჩარლტონი | 29 | 12 | 7 | 10 | 40:37 | 43 |
| ბირმინგემი | 29 | 11 | 9 | 9 | 33:35 | 42 |
| ასტონ ვილა | 29 | 11 | 7 | 11 | 36:34 | 40 |
| ფულემი | 29 | 11 | 6 | 12 | 41:40 | 39 |
| მიდლსბრო | 29 | 10 | 7 | 12 | 34:38 | 37 |
| ტოტენჰემი | 29 | 11 | 4 | 14 | 40:46 | 37 |
| საუთჰემპტონი | 29 | 9 | 9 | 11 | 29:28 | 36 |
| ბოლტონი | 29 | 8 | 10 | 11 | 33:46 | 34 |
| ევერტონი | 29 | 8 | 9 | 12 | 35:40 | 33 |
| ბლეკბერნი | 29 | 8 | 7 | 14 | 41:46 | 31 |
| სიტი | 29 | 7 | 9 | 13 | 41:42 | 30 |
| ლესტერი | 29 | 5 | 12 | 12 | 39:52 | 27 |
| პორტსმუთი | 29 | 7 | 6 | 16 | 30:44 | 27 |
| ლიდსი | 29 | 6 | 7 | 16 | 28:56 | 25 |
| ვულვზი | 29 | 5 | 9 | 15 | 24:57 | 24 |

*რიო ფერდინანდი ატირდა. ეს გახლდათ ბოლტონური დეკემბრის ცივი საღამო, როდესაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო თუ სადამსჯელო კომიტეტმა, უფრო სწორად კი საგანგებო სამეულმა, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ეროვნული გუნდის მცველს რვათვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მცველის დანაშაული დოპინგ-ტესტის დავიწყება გახლდათ — მანჩესტერელთა ტრენინგ-ტონის საწვრთნელ ცენტრში ანალიზისთვის მისულ ლაბორანტებს ფერდინანდი არ შეხვდა და ეს გულმავიწყობა ქვეყნის საფეხბურთო ჩინოვნიკებმა მკაცრად დასაჯეს*

# დოპინგი დოპინგის გარეშე

## რიო ისმენდა და ტიროდა

„ტირილისთვის საკმაოდ დიდი ვარ, მაგრამ იმ დღეს თავი ვერ შევიკავე და ავქვითინდი“ — განუცხადა ფერდინანდმა ჟურნალისტ შონ კასტისს.



შონ კასტისს რიო ფერდინანდმა გული გადაუშალა

*„იმიტომ კი არ ავქვითინდი, რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, არამედ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ფეხბურთი. იმის ფიქრი, ბურთს ამდენი ხნის განმავლობაში რომ ვეღარ გავაგორებდი, მანადგურებდა. მომხდარ ფაქტს ვერ ვაღიარებდი.*

*მგონი განცდა იმანაც გამიმძაფრა, რომ აბსოლუტურად მწამდა, დიდი-დიდი, სამი თვით თუ დამსჯიდნენ, უცბად კი რვა თვე მომისაჯეს. ეს არ მინდოდა, არ ვიმსახურებდი და თან ეს იყო უარესი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო.*

*მანამდე ხალხი ძალიან ხშირად გამოთქვამდა აზრს და ისინიც კი, ვინც ჩემს მიმართ სიმპათიით არ იყვნენ განწყობილნი, ვარაუდობდნენ, რომ სამი თვით დავისჯებოდი.*

*ვერდიქტს რომ ვუსმენდი, ერთი ცრემლიც არ წამომსვლია. გათიშული გახლდით“.*

რიო გვიყვება, რომ ამ ხნის განმავლობაში იყო ღამეები, როდესაც შფოთვით ელვიძებოდა და გონებაში იმ 23 სექტემბერს ატრიალებდა, ტესტზე მისვლა რომ დაავიწყდა. ორჯერ უთხრეს კლუბის წარმომადგენლებმა, ლაბორანტები არიან მოსულნი და გელოდებიანო, მან კი რატომღაც გაფრთხილება დაივიწყა და... მაღაზიაში ზეწრის საყიდლად წავიდა.

„იუნაიტედში“ მიხვდნენ, რომ ფერდინანდი დაიბნა თუ რაღაც ოხრობა შეეყარა და ხან SMS გაუგზავნეს, ხანაც ხმოვანი შეტყობინება. ფერდინანდმა, საბოლოოდ, ერთიცა და მეორეც ნახა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

სცადა მცველმა მდგომარეობის გამოსწორება? ცხადია, სცადა, კლუბში დარეკა, რა ვქნაო, ფეხბურთის ასოციაციაშიც კი გადარეკა, მაგრამ კაცი, რომელსაც ეძებდა, შვებულებაში დაუხვდა — და ეს ყოველივე ჟურნალისტ შონ კასტისს საოცრად დიდი ოსტატობით აქვს აღწერილი. მისი სტატიის მკითხველს იმ ეპიზოდში, როდესაც ფერდინანდი განაჩენის მოსმენის წამზე ლაპარაკობს, სრული შთაბეჭდილება დარჩება, რომ ვერდიქტი, არც მეტი, არც ნაკლები, სასიკვდილო იყო.

*„ვერც კი გეტყვით რამდენჯერ ვცადე ამომეხსნა, როგორ შემემთხვა ეს ყველაფერი. ხშირად ყოფილა, ტელევიზორთან ვმჯდარვარ, მაგრამ „ისტ ენდერების“ ნაცვლად (ინგლისური ტელესერიალია, რომელიც 1970-იანი წლებიდან გადის) ჩემს ამბავზე მიფიქრია. ლამის ნებისმიერი გამვლელი გამეჩერებინა და მეკითხა, როგორ მოხდა ეს საშინელება, რატომ აღმოვჩნდი ასეთ მდგომარეობაში. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ ის არის, რომ იმ დღეს გონება სხვა რამით მქონია დაკავებული, მაგრამ ეს გამართლება არ გახლავთ.*

*მე რომ მაშინ ლაბორანტებისგან დამალვა მდომოდა, პირდაპირ სახლში წავიდოდი და ტელეფონსაც გამოვრთავდი. ჩემი ბინის მისამართი მაშინ არავინ იცოდა და მორჩა, ვერც მიპოვნიდნენ“.*

შემდეგი თემა რიო და მისი გაწვალებული ოჯახი გახლავთ.

*„ჩემს გამო გაწვალდნენ და ამიტომ თავს ცუდად ვგრძნობ. ჩემი ოჯახი საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ეს ამბავი მის ყოველ წევრს შეეხო. ყველაზე მძიმე ის გახლდათ, რომ ხალხი ჩემი მშობლების სახლთან იკრიბებოდა. ამ სახლში ჩემი დები ჩლოი და სიანი, აგრეთვე ძმა ჯერემი ცხოვრობენ. ისინი დილით სახლიდან გამოდიოდნენ და ათას კამერას ხედავდნენ. ბავშვებს ეს აშინებდათ.*

*მაგრამ ოჯახის წევრები მხარში მედგნენ და მამხნევებდნენ. დედამ, ჯენისმა და მამამ, ჯულიანმა მითხრეს, რომ შემეშალა და ახლა გაძლება, პრობლემების გადალახვა მმართებდა, მაგრამ თავად დაზაფრულები დადიოდნენ, განსაკუთრებით ვერდიქტის გამო“.*

რიო ფერდინანდი ძალიან სწუხს, რომ მისი სახელი დოპინგს დაუკავშირდა.

*„ეს იყო დოპინგის საქმე, მაგრამ დოპინგის გარეშე. დოპინგთან საერთო არ მაქვს და ეს ფეხბურთის ასოციაციამაც აღიარა, თუმცა დაღი ერთხელ რომ დაისმება, მერე მისი მოშორება ძნელია. მერე, ყოველივე ამის გამო ხალხმა ჩემს პირად ცხოვრებაზე დაიწყო ლაპარაკი და რაღაც ძველი ამბების ქექვა. ამასწინათ, მაგალითად, ოთხი წლის წინანდელი ისტორია წავიკითხე. ერთი სიტყვით, მივხვდი, რომ ეს უსამართლობაა“.*

იმავდროულად, ფერდინანდი მადლიერია იმ უამრავი ადამიანისა, რომლებმაც მხარდაჭერა აგრძნობინეს და ხელი ჩამოართვეს.

*„მგონი, ბევრმა ირწმუნა, რომ აქ საქმე ტესტის განზრახ გაცდენას და ცუღლუტობაში არ არის, ამიტომაც, შემიძლია ვთქვა, რომ ქომაგების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ჩინებულად მომექცა. იცით, როდესაც გეუბნებიან, რომ გენდობიან, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ბებიების და პაპების ტოლა უცნობები მოდიოდნენ და ხელს მართმევდნენ. ერთი, რაც დღემდე ვერ გავიგე, ის არის, რომ ჩემსავით ბევრ ფეხბურთელს დაურღვევია წესი, მაგრამ მათ გამო ფეხბურთის ასოციაციას სახალხო ხმაური არ აუტეხავს და ჩემს გამო რატომ ატეხა?“*

და ბოლოს, დისკვალიფიკაციის ვადის გავლამდე რიო ფერდინანდი ვარჯიშსა და სხვადასხვა ჩვენთვის უცნობ საქველმოქმედო ღონისძიებაში აპირებს მონაწილეობას.

*„როდესაც თამაშობ, საქველმოქმედო ღონისძიებებისთვის არ გცალია. იმედი მაქვს, ჩემი დისკვალიფიკაცია ამ ერთი კუთხით მაინც იქნება დადებითი მოვლენა. კიდევ რით ვარ დაკავებული? ფეხბურთს ვუცქერ და როგორც მაყურებელი სიამოვნებას ვიღებ, მაგრამ მთავარია, რომ ვვარჯიშობ. მომავლისა, ცხადია, მწამს, მე ხომ როგორც ფეხბურთელს, მწვერვალისთვის ჯერ არ მიმიღწევია“.*

ვიმედოვნებთ, რომ მიაღწევს კიდეც, ოღონდ, საამისოდ, მოახლოებულ ევრო 2004-ზე ვერ ითამაშებს. ფერდინანდს, ალბათ გახსოვთ, ზემოთხსენებულმა სამეულმა ახლახან სააპელაციო საჩივრის განხილვისას 8-თვიანი სასჯელი არ შეუმცირა.

**ბაკუნა ძედია**

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. დღეს

## ჩელსი — არსენალი

ლონდონი. „სტამფორდ ბრიჯი". მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

# მრთი ნაღდია: ბერხკამპი ვერ გაფრინდება

## ლონდონში ლონდონურ დონეზე



დენის ბერხკამპი



კლაუდიო რანიერი

**ჯერ კიდევ** წილისყრის შემდეგ დაიწყო მკითხაობა, მოუგებს თუ არა „არსენალი" „ჩელსის" სეზონში მეოთხედ? „მეთოფეებმა" „არისტოკრატები" სამჯერ უკვე დაჯაბნეს — ორჯერ პრემიერლიგაში, ერთხელ კი სათასო მატჩში. მაგრამ დღეს საპირწონეზე ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალელი დევს და „არსენალის" შემადგენლობაში დენის ბერხკამპი ითამაშებს. კაცი, რომელსაც ფრენის ეშინია და გუნდს კონტინენტზე არ დაჰყვება, დღეს კი ქალაქიდან გაუსვლელად დაეხმარება „არსენალს". წილისყრამ ამ მხრივ „მეთოფეებს" აშკარად გაუმართლა, რადგან ბერხკამპი შესანიშნავ ფორმაშია და ორრაუნდიან ბრძოლაში გუნდს ძალიან წაადგება მისი პასები და შეტევაში ორიგინალური გადაწყვეტილებები.

მეტოქეთა ძალებზე თუ ვიმსჯელებთ, ოდნავი უპირატესობა „არსენალის" მხარესაა. ეს უპირატესობა განპირობებულია საამსეზონო სტატისტიკით და კიდევ ფსიქოლოგიური მომენტით — „მეთოფეებს" პრემიერლიგაში შეხვედრა არ წაუგიათ თუმც. პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი ერთმანეთისგან განსხვავდება. დღევანდელ შეხვედრას სულ სხვა აურა ექნება. ორივე გუნდი ჩემპიონატში პირველობისთვის იბრძვის. იმავდროულად ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის შანსი აქვთ, მაგრამ რომელიღაც გვერდზე უნდა დარჩეს. თუ „არსენალი" ორმატჩიან დუელში დამარცხდა, პრემიერლიგის მოგების კარგი შესაძლებლობა დარჩება, მაგრამ „ჩელსი" თუ გავარდა, შესაძლოა, წლეულსვე ხელცარიელი დარჩეს, რაც რომან აბრამოვიჩს ნაღდად არ ესიამოვნება.

ინგლისში მთელი კვირის განმავლობაში ლაპარაკობდნენ, აბრამოვიჩმა რანიერის გზები მოუჭრაო. თუ „არისტოკრატები" სეზონს წარუმატებლად დაასრულებენ, იტალიელს შეცვლიანო, წერდნენ ლონდონური გაზეთები, მაგრამ კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა ეს ჭორები უარყო.

მორიგ, მაგრამ არაჩვეულებრივ ლონდონურ დერბის წინ ორივე გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელები პროგნოზებისგან თავს იკავებენ. თუმცა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა ენა გადმოაგდო და თქვა, „არსენალი" ძალიან გათავხედდა, ჭკუა უნდა ვასწავლოთო. ჰოლანდიელმა დასძინა, „მეთოფეებს" წელში ჩვენ გავტეხთ, ერთ გოლს კი მე გავიტანო.

მეტოქეთა ბანაკში სიმშვიდეა. „ჩელსის" ტრავმირებული კარლო კუდიჩინის ნაცვლად მარკო ამბროზიო ან ნილ სალივანი ითამაშებს. კლაუდიო რანიერის განსაკუთრებით დემიენ დაფის ეიმედება, რომელიც ბოლო პრემიერლიგურ ტურში კარგად გაისარჯა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი**

ამბროზიო, გალასი, დესაი (ან ჰათი), ტერი, ბრიჯი, ჯერემი, მაკელელე, ლამპარდი, დაფი, კრესპო, მუტუ

**არსენალი**

ლემანი, ლორენი, ტურე, კემპბელი, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ედუ, პირესი, ანრი, რეიესი

**დისკვალიფიცირებულნი:**

ჩელსი: არავინ

არსენალი: არავინ

## რეალი — მონაკო

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

# თავადები მეფის კარზე

## რობერტო კარლოსმა მეოთხედფინალსაც ხელი ჰკრა



რობერტო კარლოსი ერთი მატჩითაც იუქმებს

**„რეალი"** იმედოვნებს, რომ „მონაკოს" თავდამსხმელი, ფერნანდო მორიენტესი „სანტიაგო ბერნაბეუზე" მეტისმეტად მშობლიურ გარემოში ვერ იგრძნობს თავს. თავურებში გაწაფული და საჯარიმო მოედანში დაგეშილი მორიენტესი ხომ სწორედ ის ფეხბურთელია, რომელსაც მადრიდელთა დაცვაში სუსტი წერტილების შემჩნევა და გამოყენება ძალიან მოხერხებულად შეუძლია.

შეგახსენებთ, რომ მორიენტესი სათავადოს გუნდმა „რეალისგან" ამ სეზონის დასაწყისში ითხოვა და ახლა, ეჭვია, რომ ფორვარდი შეეცდება, თავის ყოფილ გუნდს დაუმტკიცოს, რომ გასაშვები არ იყო. თუმცა–

„რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღე დგება — უთხრა მორიენტესმა მადრიდულ გაზეთ „მარკას" — მაგრამ მე აბსოლუტურად ცივი გონებით ვაპირებ ამ ყველაფრის შეხვედრას და რაც მთავარია, მინდა მერწმუნოთ, რომ მადრიდში არავისთვის არაფერი მაქვს დასამტკიცებელი. თუ რამე უნდა დავუმტკიცო, მხოლოდ ჩემს თავსა და „მონაკოს" მწვრთნელს".

„ფავორიტი, ბუნებრივია, „რეალია", მაგრამ თუ მუხლჩაუხრელად ვიბრძოლებთ და მეტოქეზე მეტ ენთუზიაზმს გამოვიჩენთ, მისი დამარცხების შანსი გვაქვს. რასაც ვამბობ, მერწმუნეთ, მართლა ვფიქრობ, თორემ სათამაშოდ მადრიდში სულ არ ჩამოვიდოდი" — დასძინა ფორვარდმა.

ახლა „რეალზე", პრიმერადივიზიონში „სამეფო გუნდის" ამასწინანდელი რვაქულიანი უპირატესობა მხოლოდ ერთ ქულამდელაა დასული. სულ რაღაც ორი კვირის წინ ლაპარაკი მადრიდელთა მიერ სამივე ჯილდოს მოპოვებაზე რეალური ჩანდა, მაგრამ თასის ფინალში „სარაგოსამ" 4:2 აჯობა, ჩემპიონატში კი ბილბაოს „ატლეტიკომ" მოუგო და „ლიგის გალაქტიკოსს" მიწაზე დაბრუნება მოუხდა.

კარგი ცნობა „რეალისთვის" ის არის, რომ ბრაზილიელი რონალდო, რომლის მნიშვნელობის განმარტება აქ სრულიად უადგილო გვგონია, ალბათ ითამაშებს. ერთი სიტყვით, გამოჯანმრთელდა.

სამაგიეროდ, კვლავ არ იქნება ორი მატჩით დისკვალიფიცირებული რობერტო კარლოსი, რომელმაც მიუნხენში, „ბაიერნის" მარტინ დემიკელისის ხელკვრის გამო მიღებული სასჯელი ჯერ ვერ მოიხადა.

ბოლო წამის ცნობით, თითქოს რაულს ბარძაყი ეტკინა და შესაძლოა, მის მაგივრად სანტიაგო სოლარიმ ითამაშოს.

„მონაკოს" უბრუნდება ლუდოვიკ ჟიული, თუმცა ლუკას ბერნარდის ამბავი საეჭვოა. ცენტრალური მცველი, სებასტიან სკილაჩი გამოჯანმრთელებით ნამდვილად გამოჯანმრთელდა, მაგრამ სასტარტო შემადგენლობაში იქნება თუ არა, კაცმა არ იცის.

**ბაბუნა ძედია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი**

კასილიასი, სალგადო, ელგერა, მეხია (ან პავონი), რაულ ბრავო, ფიგუ, ბექჰემი, გუტი, ზიდანი, რაული (ან სოლარი), რონალდო

**მონაკო**

რომა, იბარა, ევრა, როდრიგესი, სკილაჩი (ან გივე), ბერნარდი (ან ე. სისე), ზიკოსი, როტენი, ჟიული, პრსო, მორიენტესი

**დისკვალიფიცირებულნი:**

რეალი:

რობერტო კარლოსი (1 მატჩი)

მონაკო: არავინ



დღეს მადრიდელებს დევიდ ბექჰემის საცქერლად არ ეცლებათ

# შინაური სტუმარი
## მორიენტესი ოჯახის წინააღმდეგ



*ძველი რეალელი ფერნანდო მორიენტესი დღეს „სანტიაგო ბერნაბეუს“ უბრუნდება. „ელ მორო“ ახლა ფრანგული „მონაკოს“ წევრია და საეჭვოა, მადრიდელი ინჩასები „ბერნაბეუს“ მინდორზე მის გამოჩენას ოდინდელი აღტაცებით შეხვდნენ. თავად მორიენტესი კი, მიუხედავად იმისა, რომ „მონაკოს“ აღიარებული ლიდერია და რეალელ მეგობრებთან საჩემპიონთალიგო მეოთხედფინალში ომს აპირებს, სულის სიღრმეში მაინც კასტილიური გრანდის ერთგული რჩება. მადრიდულ „ასთან“ ინტერვიუში მორიენტესს „რეალისადმი“ სიმპათია თუ პატივისცემა არც დაუმალავს...*

**— როგორ მიდის „მონაკოში“ თქვენი საქმეები?**

— ძალიან კმაყოფილი ვარ, როგორც ჩემი საამსეზონო თამაშით, ასევე პირადი ცხოვრებით. „მონაკოში“ შესანიშნავად ვგრძნობ თავს.

**— როდესაც საფრანგეთში გადახვედით, გჯეროდათ, რომ ყველაფერი ასე კარგად წარიმართებოდა?**

— ყველა ფეხბურთელს კარგ ფორმაში ყოფნა და გუნდისთვის ხეირის მოტანა სურს. გამონაკლისი არც მე ვარ და, ბუნებრივია, საფრანგეთში ტყუილუბრალოდ არ ჩავსულვარ. მგონი, მშვენივრად შევეწყვე ახალ ჩემპიონატს, რაშიც „მონაკოს“ მწვრთნელი დიდიე დეშანი ძალიან დამეხმარა. აქაური გულშემატკივარიც ჩემს მიმართ საოცრად კეთილგანწყობილია, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტით მხოლოდ 1 წლით მიწევს „მონაკოში“ თამაში, ჩემთვის ფრანგების ასეთი სიყვარული სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.

**— „მონაკო“ ესპანეთის ეროვნულ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად აირჩიეთ, თუმცა ჯერჯერობით ეს მაინც ვერ ხერხდება...**

— მაგრამ, მადრიდის „რეალისგან“ განსხვავებით, დეშანი გაცილებით მეტ სათამაშო დროს მაძლევს და ჩემი ნაკრებში მოხვედრის შანსიც ადრინდელივით მცირე აღარ ჩანს. ევრო 2004 ალბათ არ უნდა გამოვტოვო, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, ინაკი საესს, ნაკრების დამრიგებელს ეკუთვნის.

**— ინაკი საესმა არც მაშინ მიგიწვიათ, როცა „ბერნაბეუს“ ტრიბუნაზე უქმად იჯექით და არც ახლა გეძახით, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგულ ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებით...**

— იმ დროს ქვეყნის პირველ გუნდში იყვნენ თავდამსხმელები, რომელთაც საესი ჯერ კიდევ მათი ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშიდან იცნობდა. სჯობს, ახლა ამაზე არ ვისაუბროთ, მე კი ჩემი შანსის გამოყენებას მაინც ვეცდები. თუ მიმიწვევენ, შესანიშნავი იქნება, თუ არა და — რა გაეწყობა, ამის გამო ფეხბურთთან განშორებას არ ვაპირებ.

**— ოთხშაბათს ისევ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გიწევთ გასვლა, მაგრამ ამჯერად „რეალის“ მოწინააღმდეგის როლში. დეშანს უკვე უთხარით, რომ ესპანეთში თამაში არ გსურთ?**

— მსგავსი არაფერი მითქვამს. მარტო მეოთხედფინალის სიძნელეზე ვლაპარაკობდით.

**— მაშინ ისიც გავიხსენოთ, რომ სექტემბერში ამბობდით, თუ ჩემპიონთა ლიგაში „რეალს“ შევხვდებით, აუცილებლად ვთხოვ დეშანს, ძირითად შემადგენლობაში არ დამაყენოსო...**

— ეს ადრე იყო, ახლა კი ლიგაში „მონაკოს“ გამარჯვებების შემდეგ, ჩემი მხრიდან, უზნეობა იქნება „რეალთან“ თამაშზე უარის თქმა.

**— „სანტიაგო ბერნაბეუს“ უცხო ფერის მაისურით დაუბრუნდებით. საინტერესო იქნება, რას იგრძნობთ „ბერნაბეუს“ დანახვისას...**

— წინასწარ ვერ გეტყვით, ალბათ, უჩვეულო გრძნობას, მადრიდში „რეალის“ მაისურის გარეშე არასოდეს მითამაშია. უძნელესი გამოცდა მელის, იმ გუნდს უნდა შევერკინო, რომლის შემადგენლობაშიც ჩემი საუკეთესო მეგობრები თამაშობენ, გუნდს, რომელსაც უბრალოდ, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემი ოჯახის ყველა წევრი ქომაგობს. 6 წელიწადი „რეალის“ ინჩასობა ტაშს მიკრავდა, ახლა კი არ ვიცი, როგორ შემხვდებიან..

**— რაულს თუ ელაპარაკეთ?**

— კენჭისყრამდე შევხვდით და მაშინ უკვე დარწმუნებულები ვიყავით, რომ „მონაკოსა“ და „რეალის“ გზები გადაიკვეთებოდა. ასეც მოხდა. მას მერე არც მასთან და არც სხვა მადრიდელთან არ მილაპარაკია.

**— სამეფო თასის ფინალი თუ ნახეთ?**

— მაშინ „მონაკო“ თამაშობდა საფრანგეთის ჩემპიონატში და მხოლოდ უკანასკნელი 5 წუთის და დამატებითი დროის ნახვა მოვახერხე, სადაც „რეალმა“ საშინლად ითამაშა. ცუდი და უიღბლო დღე ყველას შეიძლება ჰქონდეს.

**— „ბაიერნის“ ფრანგებმა, ლიზარაზუმ და სანიოლმა მითხრეს, რომ ზინედინ ზიდანის, როგორც მეტოქის აღქმა ძალიან უჭირდათ. რაულზე თქვენც ასე ფიქრობთ?**

— რთული კითხვაა. ცხადია, მოედანზე ძმაკაცური რამეების გახსენება მოწინააღმდეგეებს ვერაფრით ახეირებს, თუმცა ჩემთვის ყოველგვარი გრძნობებიდან დაცლა და მინდორზე უსულო საფეხბურთო მანქანად ქცევა მიუღებელია.

**— „მონაკოში“ დარჩენის ალბათობა ძალიან მცირეა?**

— „მონაკოს“ ფინანსური პრობლემები აწუხებს და სავარაუდოდ, სატრანსფერო ხელშეკრულების დასადებად საჭირო თანხებს ფრანგები ვერ გამოძებნიან. ჩემი უდიდესი სურვილია, „რეალში“ დავბრუნდე.



2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში ფერნანდო მორიენტესი „რეალისთვის“ თავს არ ზოგავდა


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელ ნინიო 20 წლის თავზე

**ფერნანდო ტორესის** მთავარი მიზანი ევროპულ სარბიელზე ჯილდოების მოპოვებაა. მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელმა მადრიდულ „ასს“ ინტერვიუში უთხრა: „დღემდე ჯერჯერობით არაფერი მომიგია. უეფას თასზე მოხვედრა და ევროპულ ტურნირში მონაწილეობა მსურს. ძალიან კარგი იქნება, თუ რომელიმე თასს მოვინადირებთ“. ფენომენალური ელ ნინიო უცხოეთის საინფორმაციო სპორტულ მედიაშიც ერთობ დაფასებულია — იტალიურმა GUERIN SPORTIVO-მ ამას წინათ პირენეელი ოქროს ბიჭუნა კონტინენტის 23 წლამდე საუკეთესო ფეხბურთელთა შორის პირველ ადგილზე დაასახელა.

„ბეტისთან“ გატანილი გოლი ფერნანდოსთვის საამსეზონოდ მე-14 გამოდგა, რითაც უკვე გააუმჯობესა შარშანდელი რეკორდი, ანუ მოწინააღმდეგის გოლკიპერთა 13-ჯერ აწიოკება. ტორესი კვლავაც „ატლეტიკოს“ თილისმად რჩება, რამეთუ იმ თამაშებში, „ატლეტიკომ“ პრიმერაში რომ მოიგო, გამარჯვების გოლებით უმეტესწილად სწორედ ელ ნინიომ იხეირა.

ჭაბუკი მეგოლე „ათლეტთა“ მწვრთნელის, გრეგორიო მანსანოს ფავორიტად ითვლება — 2003-04-ის პირველობაზე ჩატარებული 29 შერკინებიდან ჩაუქმა ბიჭუნამ ოდენ ორი გამოტოვა და ისიც რთული ტრავმების გამო...

ევროპასაც მასზე შეყვარებული ფერნანდოს ფეხმარდობა შეუმჩნეველი არ რჩება— LA GAZZETTA DELLO SPORT-მა სამგზის დაასახელა კვირის საუკეთესო თერთმეტთა შორის, GUERIN SPORTIVO-ც უკვე ვახსენეთ, ხოლო შარშან ზაფხულს იტალიურ საინტერნეტო საიტებზე გამოკითხვის მიხედვით ტორესს გადაეცა პრიზი, როგორც „ევროპული ფეხბურთის იმედს“. „დარწმუნებული ვარ, „ატლეტიკოსთვის“ და ესპანეთის ნაკრებისთვის მომავალშიც საჭირო ვიქნები“ — აცხადებს ელ ნინიო, ვინც სულ ახლახან სევილიური „ბეტისის“ ძლევა და საკუთარი მე-20 დაბადების დღე ერთმანეთს იღბლიანად დაამთხვია.

**ლადო ხომერიძე**






ალბერტო ჯირალდინოს ჯოვანი ტრაპატონიმ მოწყალე თვალით შეხედა

# მხოლოდ ორი საინტერესო

## ჯილარდინო და მაური ტრაპატონის თვალში მოხვდნენ

„პარმას“ თავდამსხმელმა ალბერტო ჯილარდინომ და ბრეშელმა სტეფანო მაურიმ იტალიის ნაკრების მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის ყურადღება მიიპყრეს. ტაქტიკოსმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატამდე დარჩენილი საკმაოდ მცირე დროის მიუხედავად შეიძლება კიდევ ჩაატაროს ექსპერიმენტი და პორტუგალიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ეს ორი ახალგაზრდაც გამოსცადოს.

„მე ვაკვირდებოდი თუ რა ხდებოდა ბოლო ორი თვის მანძილზე და შემიძლია გითხრათ, რომ ფეხბურთელები, რომლებსაც ინტერესით ვადევნებთ თვალს, ბევრნი არ არიან. ჯირალდინო „პარმაში“ კარგად თამაშობს. მომწონს სტეფანო მაურიც, მათი გამოყენება შეიძლება“ — მოკრძალებით თქვა ტრაპატონიმ.

ჯირალდინო ამ სეზონში მართლა ჩინებულად თამაშობს და ზაფხულის მოახლოებასთან ერთად მისი შეძენით დაინტერესებული დიდი კლუბების რაოდენობაც იზრდება, მაგრამ მისი ევრო 2004-ზე მოხვედრა მაინც საეჭვოა, რადგან მას, როგორც ახალგაზრდული ნაკრების წევრს თანატოლების ევროპის პირველობა ელის.

ხოლო 23 წლის მაური, ამასობაში, ლომბარდიულ კლუბში იკეთებს სახელს. საინტერესოა, რომ იგი გასულ სეზონში „მოდენაში“ თამაშობდა, საიდანაც მწვრთნელი, ჯანი დე ბიასი გადავიდა „ბრეშაში“ და მაურიც წაიყვანა.

**ბაბუნა ძედია**

# ვის შეშველის ლუსიო?

## სიბერის და გაჭირვების წამალი ლევერკუზენშია




„ლევერკუზენის“ ბრაზილიელი მცველის, ლუსიოს შეძენის სურვილი „იუვენტუსთან“ ერთად მიუნხენის „ბაიერნმაც“ გამოთქვა.

ლუსიოს მართალია, თავის ახლანდელ კლუბთან კონტარქტი 2007 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სეზონის მერე იქ აღარ დარჩება და ამიტომაც ატყდა ამბავი. ყველაზე მეტად კი, როგორც ხედავთ, ის გუნდები აქტიურობენ, რომლებიც მიმდინარე სეზონში მათთვის სასურველ ფეხბურთს ვერ თამაშობენ. ასეთია დაცვაში დაბერებული და მორყეული „იუვე“ და ასეთია „ბაიერნი“.

შარშან ზაფხულში ლუსიოს ყიდვას „რომა“ ლამობდა და სადღაც 16-17 მილიონ ევროსაც იხდიდა, მაგრამ გარიგება ჩაიშალა და „ბებერმა ქალბატონმაც“ სწორედ მაშინ წამოყო თავი.

კიდევ, დადის ჭორი — ოღონდ უფრო ბუნდოვანი — რომ ბრაზილიელზე თვალი მადრიდის „რეალს“ და „ჩელსისაც“ აქვთ დადგმული.

და, აქ თითქოს რა შუაშიაო, „იუვენტუსი“ „ტერნანადან“ 19 წლის ლუის ხიმენესის წაყვანასაც აპირებს. ოპერაცია ასეთი იქნება: ტურინელები ხიმენესს იყიდიან და მყისვე „ლაციოს“ დაუთმობენ, ხოლო იქიდან სტეფანო ფიორეს შეიმატებენ.

**ბაბუნა ძედია**



ვითომ გაუპატიურებული რუთ ლოურენსო თავის მოკვლას ეცადა

# რუთიმ ყლაპა და გადარჩა

**ისით**, რა ხმა გავრცელდა? თითქოს ქალი, რომელმაც ესპანეთის სასტუმროში „ლესტერ სიტის“ ფეხბურთელებს, უპირატესად კი პოლ დიკოვს გაუპატიურება დასწამა, თავს იკლავდა, მაგრამ გადარჩა. ხომ მიხვდით ვისზეა ლაპარაკი? სწორედ იმ 36 წლის რუთ ლოურენსოზე, სამი შვილის დედაზე, მალაველზე, ოღონდ გერმანიაში მცხოვრებზე, გერმანელ ქმართან გაცილებულზე ტრეფიკინგის ბიზნესში გასვრილზე და სხვა მრავალი ამბით გამორჩეულზე. მას თურმე ერთბაშად გადაუყლაპავს 22 აბი დიაზეპამი, სამი დენუბილი, ათასი მილიგრამი კურტაფრიოლი და საძილე საშუალება ნოქტამიდი. თუ რომელიმე მედიკამენტის სახელწოდება ქართულად სწორად ვერ ვთქვით ან თავად წამალი მეტისმეტად ევროპულია და ჩვენში არ იხმარება, ბოდიშს გიხდით.

რუთ ლოურენსომ ამდენი აბის მიღების გამო, ბუნებრივია, გონება დაკარგა და სასტუმროს ნომერში იპოვეს. ეს ამბავიც ესპანეთში, კერძოდ ნასარონში, „მონტინარ ოტელში“ მოხდა. რამდენადაც ცნობილია, რუთი რვა საათის განმავლობაში კომაში იყო და კარტახენელი ექიმები შიშობდნენ, რომ მოკვდება ან ტვინი დაუზიანდებოდა, მაგრამ რვასაათიანი ინტენსიური თერაპიის შემდეგ გონს მოეგო.

გასულ ოთხშაბათს, საღამოს ათის ნახევარზე ან უფრო სწორად, როგორც ინგლისური გაზეთები იტყობინებიან 9 საათსა და 26 წუთზე, მიღებიდან 15 საათის შემდეგ, რუთ ლოურენსო საავადმყოფოდან გაწერეს. ამბობენ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობა ან ამ ამბის სამომავლო კუდები არ ემუქრება. ერთმა ექიმმა პრესას განუცხადა:

„მხოლოდ დიაზეპამს და ისიც იმის ნახევარს, რაც დალია, ეს ქალბატონი წესით უნდა მოეკლა“.

რატომ არ მოკლა?

ალბათ, ძლიერი მალავური ორგანიზმი დადგა მაგრად.

**ბაბუნა ძედია**

*ფატიჰ თერიმი „გალათასარაიში“ შარშან დაბრუნდა. ქომაგები მწვრთნელთან ერთად ძველი დიდების დაბრუნებასაც ელოდნენ. „იმპერატორად“ წოდებული თერიმის ხელში „ლომებმა“ მიჯრით ოთხჯერ ჩემპიონობა მოიგეს და 2000 წელს უეფას თასიც აღმართეს*

# ჰაჯი განითლდა და გაყვითლდა

## გალათასარაიმ იმპერატორი შეცვალა

**ფატიჰ თერიმისა** და „გალას“ ფანთა ჯილა იმ გუნდში რუმინელი გეორგე ჰაჯი იყო, რომელმაც ბუცები ოთხი წლის წინ საბოლოოდ დაბერტყა.

ეს სეზონი სტამბოლურმა გრანდმა ჩააგდო.

ჩემპიონთა ლიგას ვინ ჩივის, შესაძლოა, უეფას თასზეც ვერ მოხვდნენ.

ფატიჰ თერიმს საქმეები რომ აეწეწა, თებერვლის ბოლოს მიხვდა. მარტში უეფას თასზე „ვილიარელთან“ მარცხის შემდეგ „იმპერატორმა“ განაცხადა გუნდიდან მივდივარო. თერიმისთვის კალთები არ დაუხევიათ. იგი გასულ უქმეებზე, „რიზესთან“ წაგების მერე ოფიციალურად წავიდა.

ერთი კვირის წინ კლუბის პრეზიდენტად ხელახლა არჩეულ ოზაჰან ჯანაიდინს თერიმის შემცვლელად გეორგე ჰაჯი ჰყავდა შეგულებული და გუშინ საქმეც მოგვარდა — რუმინელმა „გალათასარაისთან“ ორნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა.



ჰაჯი თურქეთში შარშანაც მოღვაწეობდა. იგი „ბურსასპორის“ მწვრთნელად დანიშნეს, მაგრამ სეზონის დასაწყისში ცუდი შედეგების გამო გაათავისუფლეს.

**რომან თურქია**

## იტალია

### სერია B. XXXIV ტური

ალბინოლეფე 0:0 ტრიესტინა

აველინო 0:2 ტერნანა

0:1 დ. ხიმენესი (25), 0:2 ბორგობელო (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალერმო | 34 | 16 | 12 | 6 | 50:29 | 60 |
| მესინა | 34 | 14 | 13 | 7 | 49:33 | 55 |
| ატალანტა | 34 | 13 | 16 | 5 | 41:30 | 55 |
| ლივორნო | 34 | 13 | 15 | 6 | 47:34 | 54 |
| ტერნანა | 34 | 14 | 12 | 8 | 46:35 | 54 |
| პიაჩენცა | 33 | 14 | 12 | 7 | 34:26 | 54 |
| კალიარი | 34 | 13 | 14 | 7 | 54:35 | 53 |
| ტრიესტინა | 34 | 12 | 14 | 8 | 42:39 | 50 |
| ფიორენტინა | 34 | 12 | 14 | 8 | 39:39 | 50 |
| ტორინო | 34 | 12 | 12 | 10 | 45:37 | 48 |
| კატანია | 34 | 12 | 11 | 11 | 39:35 | 47 |
| ვიჩენცა | 34 | 11 | 14 | 9 | 36:32 | 47 |
| ნაპოლი | 34 | 9 | 18 | 7 | 28:30 | 45 |
| ჯენოა | 34 | 9 | 13 | 12 | 34:40 | 40 |
| ალბინოლეფე | 34 | 10 | 10 | 14 | 31:42 | 40 |
| ტრევიზო | 34 | 8 | 15 | 11 | 30:33 | 39 |
| ასკოლი | 34 | 9 | 12 | 13 | 36:40 | 39 |
| ვერონა | 34 | 9 | 11 | 14 | 40:47 | 38 |
| სალერნიტანა | 33 | 10 | 8 | 15 | 28:37 | 38 |
| პესკარა | 34 | 9 | 11 | 14 | 27:41 | 38 |
| ვენეცია | 34 | 8 | 13 | 13 | 26:37 | 37 |
| ბარი | 34 | 8 | 10 | 16 | 35:47 | 34 |
| კომო | 34 | 7 | 11 | 16 | 28:43 | 32 |
| აველინო | 34 | 3 | 13 | 18 | 29:53 | 22 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XXV ტური

ლიუბეკი 2:1 ნიურნბერგი

1:0 შარპინგი (11), 2:0 ტიუნი (53), 2:1 ვიტეკი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 25 | 13 | 6 | 6 | 40:31 | 45 |
| ნიურნბერგი | 25 | 12 | 7 | 6 | 45:30 | 43 |
| ობერჰაუზენი | 25 | 12 | 6 | 7 | 38:33 | 42 |
| არმინია | 25 | 11 | 6 | 8 | 36:27 | 39 |
| მაინცი | 25 | 9 | 12 | 4 | 34:26 | 39 |
| ალემანია | 25 | 11 | 6 | 8 | 38:36 | 39 |
| დუისბურგი | 25 | 9 | 8 | 8 | 37:33 | 35 |
| კარლსრუე | 25 | 9 | 7 | 9 | 27:30 | 34 |
| რეგენსბურგი | 25 | 8 | 9 | 8 | 32:36 | 33 |
| უნტერჰახინგი | 25 | 8 | 8 | 9 | 31:32 | 32 |
| აუე | 25 | 8 | 8 | 9 | 28:29 | 32 |
| ლიუბეკი | 25 | 8 | 8 | 9 | 37:40 | 32 |
| ბურგჰაუზენი | 25 | 8 | 7 | 10 | 30:29 | 31 |
| ტრიერი | 25 | 8 | 6 | 11 | 33:40 | 30 |
| ფიურტი | 25 | 6 | 11 | 8 | 38:38 | 29 |
| უნიონი | 25 | 7 | 7 | 11 | 29:31 | 28 |
| ალენი | 25 | 7 | 5 | 13 | 23:36 | 26 |
| ოსნაბრიუკი | 25 | 5 | 5 | 15 | 22:41 | 20 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა XXVII ტური

მორეირენსე 0:0 ბელენენსეში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 26 | 21 | 5 | 0 | 57:15 | 68 |
| სპორტინგი | 27 | 19 | 4 | 4 | 49:27 | 61 |
| ბენფიკა | 27 | 17 | 6 | 4 | 50:25 | 57 |
| ბრაგა | 27 | 12 | 8 | 7 | 27:28 | 44 |
| ნასიონალი | 26 | 13 | 4 | 9 | 44:28 | 43 |
| რიუ ავე | 27 | 10 | 10 | 7 | 36:24 | 40 |
| მარიტიმუ | 27 | 9 | 12 | 6 | 28:25 | 39 |
| ბოავიშტა | 27 | 9 | 11 | 7 | 25:22 | 38 |
| ბეირა მარი | 27 | 10 | 6 | 11 | 35:36 | 36 |
| მორეირენსე | 27 | 8 | 10 | 9 | 23:27 | 34 |
| ლეირია | 27 | 8 | 8 | 11 | 35:41 | 32 |
| ჟილ ვისენტე | 27 | 7 | 10 | 10 | 36:33 | 31 |
| ალვერკა | 27 | 8 | 5 | 14 | 29:37 | 29 |
| აკადემიკა | 27 | 7 | 4 | 16 | 24:34 | 25 |
| ბელენენსეში | 27 | 5 | 10 | 12 | 28:48 | 25 |
| ფერეირა | 27 | 7 | 3 | 17 | 20:41 | 24 |
| გიმარაეში | 27 | 4 | 10 | 13 | 24:37 | 22 |
| ამადორა | 27 | 3 | 4 | 20 | 18:60 | 13 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. XXII ტური

სპარტა 0:0 ლიბერეცი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანიკი | 22 | 13 | 7 | 2 | 44:19 | 46 |
| სლავია | 22 | 12 | 4 | 6 | 28:13 | 40 |
| სპარტა | 22 | 10 | 9 | 3 | 35:17 | 39 |
| სიგმა | 22 | 11 | 6 | 5 | 33:17 | 39 |
| სინოტი | 22 | 9 | 5 | 8 | 29:30 | 32 |
| ზლინი | 21 | 9 | 4 | 8 | 22:23 | 31 |
| ბუდეიოვიცე | 22 | 8 | 6 | 8 | 24:25 | 30 |
| ლიბერეცი | 21 | 7 | 8 | 6 | 18:16 | 29 |
| ბრნო | 22 | 7 | 7 | 8 | 26:27 | 28 |
| პრჟიბრამი | 22 | 7 | 6 | 9 | 25:23 | 27 |
| ტეპლიცე | 21 | 6 | 8 | 7 | 21:23 | 26 |
| იაბლონეცი | 22 | 4 | 12 | 6 | 17:24 | 24 |
| ოპავა | 21 | 6 | 4 | 11 | 25:39 | 22 |
| ჟიჟკოვი | 22 | 5 | 6 | 11 | 14:24 | 21 |
| ბლშანი | 21 | 5 | 4 | 12 | 23:42 | 19 |
| პლზენი | 21 | 3 | 6 | 12 | 14:36 | 15 |

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი

### საპასუხო მატჩები

ანგუილა 0:6 დომინიკელთა რესპუბლიკა (0:0)

მონსერატი 0:7 ბერმუდა (0:13)

# რონალდოს ცოლხიანი დედა სონია დეიდა შვილს პროკურორივით დაეცა

*რონალდოსა და მილენა დომინგუშის ოჯახი ექვსი თვის წინ თითით საჩვენებელი იყო. კაცი ცნობილი ფეხბურთელი, ქალი ცნობილი ფეხბურთელის ცოლი, აწყობილი საქმეები და ზღვა შემოსავალი. რა უნდა უნდოდეს მეტი თანამედროვე ოჯახს?*

რონალდოს ცოლქმრული სიამტკბილობა შარშან შემოდგომაზე მოსწყინდა. ოქტომბერში „კიჭამ“ მეუღლეს გაეყარა. გაყრის შემდეგაც კი მილენამ სიყვარული გულიდან ვერ ამოიგლიჯა და თქვა, მინდა, რომ ჩემი მეორე შვილის მამაც რონალდო იყოსო. მერე რატომღაც ამ სურვილმა გადაუარა.

რამდენი იშოვა მილენამ გაყრის მერე? ბრაზილიის ნაპირებთან კუნძულის ნახევარი ერგო, რომელიც მისმა ქმარმა 3 მილიონ დოლარად შეიძინა. გარდა ამისა, ქალს მილანში და მადრიდში თითო სახლი დაუტოვეს და შვილზე უფლებაც უბოძეს.

ქმარსგაყრილმა მილენამ ფეხბურთის თამაში გააგრძელა, ბურთს მოცილებული კი ტელევიზიაში გადაცემის წამყვანად მუშაობასაც ახერხებს.

შარშან დეკემბერში მისი პირველი რესპონდენტი მადრიდის „რეალის“ მცველი ფრანსისკო პავონი იყო. გადაცემის დასრულების შემდეგ თავად მილენას ჰკითხეს, რონალდოს თუ მოიწვევ და როგორ კითხვებს დაუგზავნიო. „მხოლოდ ფეხბურთზე ვისაუბრებთ, არავითარი პირადული“ — მიუგო მან.

ფეხბურთელი ქალი და იმავდროულად ტელევარსკვლავი აღიარებს, რომ მისი საოცნებო სტუმარი დიეგო არმანდო მარადონაა.

ამასობაში რონალდოს მეგობრებს „კიჭას“ გულისნადები სააშკარაოზე გამოაქვთ. მათი თქმით, „რონის“ იტალია ძალიან მონატრებია და მილანისკენ თურმე გაშმაგებით იწევდა. იმასაც ამბობენ, რომ ფეხბურთელის აგენტს გვარიანი ოფლის ღვრა დასჭირდა, რათა კლიენტი მადრიდში დარჩენაზე დაეთანხმებინა. ახალი კონტრაქტი „რეალთან“ რონალდომ თებერვლის ბოლოს გააფორმა. აგენტთა არგუმენტი ასეთი ყოფილა: „ინტერი“ ყველგან და ყველასთან აგებს და ახლა იქ გადასვლა დიდი სისულელე იქნებაო.

მილანში „კიჭას“ არგენტინელი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი არ სწყალობდა, ერთმანეთს ვერ გაუგეს. ერთგვარი „კუპერი“ რონალდოს მადრიდშიც გამოუჩნდა, მაგრამ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს კარლუშ კეიროში ან ვისენტე დელ ბოსკე იყო, ცდებით.

რაული — აი, კაცი, ვინც ბრაზილიელ ფორვარდს გულზე არ ეხატება. ინტერვიუებში რონალდო რაულის შესახებ კითხვებს დიპლომატიური ფორმით პასუხობს, რაულთან გასაყოფი არაფერი მაქვსო. ხან ყურიდან ყურში გაუშვებს, ვითომ არც გაუგია.

ასე ხდება ოფიციალური შეხვედრებისას, მაგრამ თურმე რასაც ოფიციალურ მიკროფონებთან ვერ ამბობს, ძმაკაცებს უყვება. ჰოდა, ძმაკაცებმა ესპანურ პრესასთან საინტერესო ამბები მიათრიეს. მათი თქმით, „კიჭა“ რაულს პირსუკან ეგოისტს და გაიძვერას ეძახის.

მიუხედავად ალაგ-ალაგ მცირე დისკომფორტისა, რონალდო მადრიდში ბატონივით ილხენს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მილენას გასცილდა, თუმც გართობას მანამდეც არ იკლებდა.

„კიჭას“ დედა სონიას შვილისა და მილენას გაყრის ამბავი გულთან მიუტანია: „ძალიან მეწყინა, ეს რომ გავიგე. რძალი მიყვარდა და პატივს ვცემდი. მეგონა, მთელი ცხოვრება ერთად იქნებოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა“.

გაყრის შემდეგ დედამ შვილის შემოწმება რამდენჯერმე გადაწყვიტა და მოულოდნელად თავს დაეცა. ერთხელ სონია დეიდა ღამის სამ საათზე ჩასულა მადრიდში, იმ დღეს, როცა „რეალს“ თამაში ელოდა. დედის მოულოდნელმა დაცემამ „კიჭას“ სტუმრები არია, რომლებიც ფეხბურთელის სახლში გრიალებდნენ და დამფა-ზურნა ჰქონდათ გაჩაღებული. ქალბატონმა სონიამ ცოცხს სტაცა ხელი და შვილის მეგობრები შუაღამისას სახლიდან დაიფრინა.

დედა გაბრაზდება და დაწყნარდება. ერთხელ გაუბრაზდა კი შვილს, მაგრამ იგი მსოფლიოს საუკეთესო მეგოლეა და საუკეთესო მექალთანეც.

ამჟამად „კიჭა“ თურმე ერთდროულად სამ ქალს ჰყვარობს. ორი ბრაზილიელია, ერთი კი ესპანელი. ჩემპიონთა ლიგა, პრიმერადივიზიონის მატჩები, ვარჯიშები და ამ გაწამაწიაში რონალდო რომანის გაბმას მაინც ასწრებს.

რა ემართება ბრაზილიელ მეგოლეს, როცა მის გვერდით ქერა ქალი ჩაივლის? ამ კითხვაზე „კიჭას“ უახლოესი მეგობარი ალოიზიო ფერეირა გვიპასუხებს: „ის გიჟდება ქერა ქალებზე. თუ მოეწონა, არ მოისვენებს, სანამ საწოლში არ ჩაიგორებს“.

რონალდოს ავტომობილებიც ქალებივით უყვარს და იცვლის. მის ავტოფარეხში ამჟამად „ჰამერი“, „ლანჩა“, „აუდი“ და BMW-ს ორი მოდელია — 745 და X5

ამ ოთხთვალების მოწილე რონალდოს უკანონო შვილი უნდა ყოფილიყო, რომელიც ვივიან ბრუნერმა გააჩინა, მაგრამ „კიჭამ“ მამობა უარყო და დაამტკიცა, რომ ამ ბავშვის მამა სულ სხვა კაცია. ცნობილმა მოდელმა, ბრუნერმა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ ამბავი ატეხა. ჯერ თქვა, რონალდოსთან ვიწექიო, მერე რივალდოსთანო, მერე კი ბრაზილიის ნაკრებთან ვიკოტრიალეო. საბოლოოდ ბავშვის ავტორად რონალდოს ასახელებდა, მაგრამ ოინი არ გამოუვიდა. აღმოჩნდა, რომ ვივიანის შვილის მამა იაპონელი მეგოლფე ტაკასი ნისიდაა, რომელთანაც მოდელს 2002 წლის ივნისში მოულხენია, სწორედ მაშინ, როცა მსოფლიოს ჩემპიონატი გახურებული იყო.

რამდენი კანონიერი თუ უკანონო შვილიც არ უნდა გამოუჩნდეს რონალდოს, მათი შენახვა მამას არ გაუჭირდება. 11-წლიანი პროფესიული საფეხბურთო მოღვაწეობის მანძილზე მან 100 მილიონ დოლარამდე ქონება შეაგროვა. ახლა ყოველწლიურად მის შემოსავალს 24 მილიონი ემატება, რომელთაგანაც 6 მილიონ 500 ათასი ჯამაგირია, დანარჩენი კი რეკლამებიდან ეკუთვნის.

**მაკა ხუციშვილი**




რონალდოს ცეკვა მოედნის გარეთაც ეხერხება



**იტალიური** „ლაციო“ და „მილანი“ ჰოლანდიელი იაპ სტამის ტრანსფერზე საბოლოოდ შეთანხმდნენ, 31 წლის მცველი 11 მილიონი ევროს სანაცვლოდ მილანურ კლუბში გადაბარგდა. ახალი ფეხბურთელის პრეზენტაცია „შავ-წითლებმა“ „დეპორტივოსთან“ წუხანდელი მატჩის შემდეგ მოაწყვეს.

**ხორვატიის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მცველი რობერტ კოვაჩი სერიოზულად დაშავდა და დაახლოებით ორ თვეს ვერ ითამაშებს. „იგი ჩვენს გუნდში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა და უმისოდ გაგვიჭირდება. ის ალბათ, ევროპის ჩემპიონატისთვის იქნება მზად“ — განაცხადა ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა.

**გერმანელმა** ფორვარდმა კარსტენ იანკერმა „უდინეზესთან“ კონტრაქტი გაწყვიტა. იტალიურ კლუბში იგი 2002 წელს „ბაიერნიდან“ გადავიდა, მაგრამ სერია A-ს ვერაფრით მოერგო. ამ ხნის მანძილზე მან 34 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 2 გოლი შეაგდო. ბოლოს ლუჩანო სპალეტი მას იშვიათად აყენებდა ძირითად შემადგენლობაში, რამაც ისედაც უკმაყოფილო იანკერს კლუბის დატოვება საბოლოოდ გადააწყვეტინა.

**იტალიური** „მოდენა“ სერია A-ს ერთ-ერთი აუტსაიდერი და გავარდნის კანდიდატია. ამით შეშფოთებულმა კლუბის ხელმძღვანელებმა ახალი მწვრთნელის მოყვანა გადაწყვიტეს და ალბერტო მალეზანი პოსტიდან გაუშვეს. „მოდენას“ ახლა „ვენეციას“ ყოფილი თავკაცი ჯანფრანკო ბულოტო გაწვრთნის.

**ინგლისურ** პრესაში ბოლო დროს გავრცელებული ჭორები, თითქოსდა არსენ ვენგერი მომავალი სეზონიდან ლონდონურ „ჩელსიში“ გადავა, საჯაროდ უარყო „არსენალის“ პრეზიდენტმა პიტერ ჰილ-ვუდმა: „ვფიქრობ, არსენი არც კი ფიქრებს „არისტოკრატებში“ გადასვლაზე. ჩვენ შორს მიმავალი გეგმები გვაქვს. კლუბის ახალ სტადიონზე, რომელიც 2006 წელს იხსნება, ვენგერის გარეშე მოთამაშე გუნდი ვერც წარმოიდგენია. ჩვენ მას ბოლომდე ვენდობით და დარწმუნებული ვარ, ისიც ყველაფრით კმაყოფილია“.

**ბრაზილიელმა** ფორვარდმა ჯოვანი ელბერმა ბუნდესლიგაში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. „გერმანიის დატოვება დიდი შეცდომა იყო. სამწუხაროდ, „ლიონს“ ჯერ კიდევ ვერ მოვერგე. თუ სეზონის ბოლომდე ვითარება არ გამოსწორდა, ალბათ დაბრუნებაზე ვიფიქრებ. ახლა ვხვდები, რა კარგი იყო გერმანიაში ცხოვრება“.

**იტალიური** „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი ჟურნალისტებს გაესაუბრა და რამდენიმე საინტერესო განცხადება გააკეთა. პირველ რიგში მან კარლო ანჩელოტი შეაქო, რადგან გაითვალისწინა და აქცენტი შეტევაზე გააკეთა. ბერლუსკონიმ ხოტბა შეასხა ბრაზილიელ კაკასაც: „არ ვიცი ჩემი პრეზიდენტობის ხანაში იგი ჩვენი საუკეთესო შენაძენია თუ არა, მაგრამ პირადად მე კაკას დარად მოთამაშე 21 წლის ფეხბურთელი არ მინახავს“. დონ სილვიომ ისიც დასძინა: „ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფინალი „მილანი“ — „რეალი“ იქნება, 18 წლის განმავლობაში, რაც კლუბის პრეზიდენტი ვარ, „მილანისა“ და „რეალის“ თვალწარმტაცი და საუცხოო თამაშისმაგვარი არაფერი მინახავს“.

**ჩეხეთის** ნაკრებს მეკარის პრობლემა შეექმნა. გუნდის ორი ძირითადი გოლკიპერი, „რენის“ კარის დარაჯი პეტრ ჩეხი და „სპარტას“ მეკარე იარომირ ბლაჟეკი ტრავმირებულნი არიან. 31 მარტს ჩეხებს ისლანდიასთან ამხანაგური მატჩი ელით. სავარაუდოდ, კარშიც 33 წლის მარტინ ვანიაკი ჩადგება. იგი ნაკრებში ადრეც იყო მიწვეული. ამჟამად ვანიაკი „სიგმაში“ თამაშობს და მშვენიერ ფორმაშია. ბოლო მატჩში 11-ჯერ შეძლო კარის მშრალად შენახვა. სათადარიგო ანტონინ კინსკი იქნება, იგი „სატურნის“ ღირსებას იცავს.

**ჩილელმა** ნახევარმცველმა დავიდ პიზარომ განაცხადა, „იუვენტუსში“ თამაში მინდაო. „უდინეზეში“ თავს მშვენივრად ვგრძნობ და ძალიან მადლიერი ვარ მისი, რომ ნამდვილ პროფესიონალად მაქცია, თუმც ერთ ადგილზე გაჩერება არ შემიძლია და ძალიან მსურს, ზაფხულიდან რომელიმე სუპერკლუბში გადავიდე. ვფიქრობ, საუკეთესო ვარიანტი „ბებერი ქალბატონი“ იქნება. თანაც ვიცი, რომ ტურინელებიც არიან ჩემით დაინტერესებულნი“ — აღნიშნა პიზარომ.

**ინგლისური** ფეხბურთის ვეტერანი ალან შირერი მაღალ დონეზე თამაშს აგრძელებს. თუმც, მიუხედავად ამისა, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მომავალი სეზონი მისთვის ბოლო იქნება, ანუ 2005 წლის ზაფხულში საბოლოოდ გამოეთხოვება დიდ ფეხბურთს. „კიდევ ერთ სეზონს ვითამაშებ და კარიერას მერე დავასრულებ. იმედი მაქვს, სანამ ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ, „ნიუკასლთან“ ერთად რომელიმე ტიტულის მოპოვებასაც მოვახერხებ“ — თქვა ალანმა.

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXX ტური** | | | | | | |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 16.30 | 014 | ბირმინგემი-ლიდსი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 19.00 | 015 | ბლეკბერნი-პორტსმუთი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 016 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 017 | ჩელსი-ვულვერჰემპტონი | 1,22 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,08 | 3,33 |
| 19.00 | 018 | ევერტონი-მიდლსბრო | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 019 | სიტი-ფულემი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 19.00 | 020 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 021 | ბოლტონი-ნიუკასლი | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 19.00 | 022 | ლესტერი-ლივერპული | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,57 | 1,27 | 1,23 |
| 20.05 | 023 | არსენალი-მანჩესტერი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 058 | უიმბლდონი-მილუოლი | 5,3 | 3,5 | 1,5 | 2,1 | 1,16 | 1,04 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 075 | ბორნმუთი-ბლეკპული | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 23.45 | 076 | ტრანმერი-ბრისტოლი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 112 | სკარბორო-ჰალიფაქსი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 127 | ჰიბერნიანი-მოთერველი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.45 | 128 | ლივინგსტონი-დანდი იუნაიტედი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 024 | ჰანსა-ვოლფსბურგი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 025 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 18.30 | 026 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 18.30 | 027 | ფრაიბურგი-კიოლნი | 1,5 | 3,6 | 4,6 | 1,05 | 1,13 | 2,01 |
| 18.30 | 028 | აინტრახტი-მიუნხენი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 18.30 | 029 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,46 | 1,24 | 1,33 |
| 18.30 | 030 | ბოხუმი-შალკე | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 031 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 20.30 | 032 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XX ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 185 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1,8 | 3,3 | 3,5 | 1,16 | 1,18 | 1,69 |
| | | **იტალია. სერია A. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 013 | ბოლონია-ლაციო | 3,2 | 3,0 | 2,25 | 1,54 | 1,32 | 1,28 |
| | | **იტალია. სერია A. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 033 | ბრეშა-ანკონა | 1,15 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,01 | 2,95 |
| 18.00 | 034 | იუვენტუსი-მოდენა | 1,27 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,11 | 2,95 |
| 18.00 | 035 | მილანი-კიევო | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| 18.00 | 036 | პარმა-ემპოლი | 1,65 | 3,0 | 5,0 | 1,06 | 1,24 | 1,87 |
| 18.00 | 037 | პერუჯა-ლაციო | 3,2 | 3,0 | 2,2 | 1,54 | 1,3 | 1,26 |
| 18.00 | 038 | რეჯინა-ინტერი | 3,3 | 2,9 | 2,2 | 1,54 | 1,32 | 1,25 |
| 18.00 | 039 | რომა-ბოლონია | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 18.00 | 040 | სამპდორია-ლეჩე | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 18.00 | 041 | სიენა-უდინეზე | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,4 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXX ტური** | | | | | | |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 046 | სოსიედადი-დეპორტივო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 00.30 | 049 | ესპანიოლი-ბილბაო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 042 | მალაგა-ალბასეტე | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 043 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 20.00 | 044 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 20.00 | 047 | მურსია-მალიორკა | 2,9 | 3,2 | 2,1 | 1,52 | 1,21 | 1,26 |
| 20.00 | 048 | სელტა-სარაგოსა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 20.00 | 051 | რასინგი-ვალენსია | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 22.00 | 045 | ბეტისი-ბარსელონა | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 24.00 | 050 | რეალი-სევილია | 1,25 | 4,8 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,13 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 233 | ალავესი-ხეტაფე | 2,0 | 2,7 | 4,0 | 1,14 | 1,33 | 1,61 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 319 | ანტვერპენი-მუსკრონი | 3,6 | 3,3 | 1,85 | 1,72 | 1,22 | 1,18 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 346 | დელემონი-სიონი | 2,8 | 3,2 | 2,0 | 1,49 | 1,16 | 1,23 |
| 22.30 | 348 | ვილენი-ვინტერთური | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 415 | ოპავა-ტეპლიცე | 2,15 | 3,1 | 3,1 | 1,26 | 1,26 | 1,55 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XX ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 416 | პლზენი-ბლშანი | 2,15 | 3,1 | 3,1 | 1,26 | 1,26 | 1,55 |
| | | **სერბია. I დივიზიონი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 435 | სუტიესკა-ობილიჩი | 1,7 | 3,2 | 4,2 | 1,11 | 1,21 | 1,81 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 21.30 | 453 | გურნიკი-ლეხი | 2,0 | 3,2 | 2,8 | 1,23 | 1,16 | 1,49 |
| | | **უნგრეთი. NB1. XVII ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 463 | უიპეშტი-ეტო | 1,65 | 3,3 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,88 |
| | | **ჩილე. აპერტურა. IX ტური** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 494 | პალესტინო-კონსეპსიონი | 2,6 | 3,2 | 2,2 | 1,43 | 1,19 | 1,3 |
| | | **ავსტრია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 514 | კერნტენი-ზალცბურგი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| | | **დანია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 515 | იოლსტრუპ-ოდენსე | 6,0 | 3,8 | 1,45 | 2,32 | 1,16 | 1,04 |
| 21.00 | 516 | სილკებორგი-ნიკიობინგი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 22.00 | 517 | ესბიერგი-ოლბორგი | 1,8 | 3,3 | 3,5 | 1,16 | 1,18 | 1,69 |
| 22.00 | 518 | ფრემი-ბრიონდბიუ | 4,6 | 3,6 | 1,55 | 2,01 | 1,15 | 1,08 |
| 22.00 | 519 | ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი | 3,6 | 3,3 | 1,8 | 1,72 | 1,19 | 1,16 |
| 22.00 | 520 | აკადემისკი-ვიბორგი | 2,7 | 3,3 | 2,25 | 1,48 | 1,22 | 1,33 |
| | | **რუსეთი. თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 523 | შინიკი-ალანია | 1,65 | 3,3 | 4,6 | 1,1 | 1,21 | 1,92 |
| 16.00 | 524 | ტერეკი-კუბანი | 2,3 | 3,1 | 2,3 | 1,32 | 1,15 | 1,32 |
| 16.00 | 525 | ლოკომოტივი-რუბინი | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,31 |
| | | **ჩეხეთი. თასი 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 526 | ბანიკი-იაბლონეცი | 1,35 | 3,8 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,52 |
| | | **ხორვატია. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 528 | რიეკა-კამენი | 1,85 | 3,2 | 3,5 | 1,17 | 1,21 | 1,67 |
| 21.00 | 529 | დინამო-ოსიეკი | 1,4 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,31 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 003 | ჩელსი-არსენალი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1.4 | 1.25 | 1,4 |
| 23.45 | 004 | რეალი-მონაკო | 1.4 | 4,0 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.6 |
| | | **უეფას თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 005 | ბრიუგე-ბორდო | 1.95 | 3.2 | 3.6 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 23.30 | 006 | პსვ-ოსერი | 1.9 | 3,2 | 3.8 | 1,19 | 1.26 | 1.73 |
| 23.45 | 007 | რომა-ვილიარეალი | 1,45 | 3,6 | 7.5 | 1.03 | 1,21 | 2,43 |
| 24.00 | 008 | ინტერი-ბენფიკა | 1,5 | 3,6 | 6.5 | 1,05 | 1.21 | 2.31 |
| 24.00 | 009 | მარსელი-ლივერპული | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1.36 | 1,28 | 1,44 |
| 24.00 | 010 | მალიორკა-ნიუკასლი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1.33 | 1,28 | 1.52 |
| 24.00 | 011 | ბარსელონა-სელტიკი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1.04 | 1.2 | 2.46 |
| 00.30 | 012 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 02.30 | 533 | ვოლსტერმანი-ბარსელონა | 2,8 | 3,2 | 2,2 | 1,49 | 1.23 | 1.3 |
| 02.30 | 534 | ბოკა ხუნიორსი-დეპორტივო | 1,45 | 3,6 | 6,0 | 1.03 | 1.16 | 2,25 |
| 04.45 | 535 | კობრელოა-სან პაულუ | 3,5 | 3,3 | 1,8 | 1,69 | 1,18 | 1.16 |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 02.00 | 536 | ინდეპენდიენტე-ნასიონალი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1.12 | 1,22 | 1,88 |
| 04.15 | 537 | კოლო კოლო-ბოლივარი | 1,55 | 3,6 | 4,4 | 1.08 | 1.14 | 1.98 |
| 04.15 | 538 | გუარანი-სანტოსი(ბრ) | 2,6 | 3,2 | 2.35 | 1,43 | 1,23 | 1.35 |
| 06.30 | 539 | ალიანსა-უნივერსიტარია | 2.1 | 3,2 | 2.9 | 1,26 | 1,21 | 1.52 |
| | | **რაგბი. ექვსი ერის თასი** | | | | | | |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 901 | უელსი-იტალია | 1.05 | 20.0 | 7,5 | 1 | 1 | 5,45 |
| 20.00 | 903 | ირლანდია-შოტლანდია | 1,02 | 25,0 | 9,0 | 1 | 1 | 6,61 |
| 24.00 | 905 | საფრანგეთი-ინგლისი | 1,55 | 17,0 | 2,1 | 1,42 | 1 | 1.86 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 1111 | ზლინი-პლზენი | 1,5 | 4.6 | 4,2 | 1.13 | 1,1 | 2,19 |
| 20.00 | 1112 | სპარტა-სლავია | 1,95 | 4.0 | 2,7 | 1,31 | 1,13 | 1.61 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 1131 | აისბარენი-ინგოლშტადი | 1.5 | 4.8 | 4.0 | 1,14 | 1,09 | 2.18 |
| 22.30 | 1132 | ჰამბურგი-ფრანკფურტი | 1.85 | 4,4 | 2,7 | 1.3 | 1,09 | 1.67 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 1141 | ლუგანო-ციურიხი | 1,7 | 4.6 | 3,1 | 1,24 | 1.09 | 1.85 |
| 22.30 | 1142 | ბერნი-სერვეტი | 1,45 | 4.8 | 4.4 | 1,11 | 1,09 | 2.29 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 22.15 | 1151 | ჰვ 71-ფრიოლუნდა | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1.11 | 1,6 |
| 22.15 | 1152 | ფერიესტადი-ტიმრუ | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 1321 | პერისტერი-მარუსი | 1,8 | 10,0 | 1,6 | 1,52 | 1 | 1,37 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **24 მარტი** | | | | | | |
| 21.40 | 1331 | ეფესი-პო ორტეზი | 1,08 | 10,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 23.10 | 1332 | ოლიმპიაკოსი-ცსკა | 2,5 | 10,0 | 1,35 | 2 | 1 | 1,18 |
| 23.40 | 1333 | ტაუ-ციბონა | 1,08 | 10,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 23.40 | 1334 | ბარსელონა-სიენა | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2.36 |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 22.40 | 1335 | ჟალგირისი-ულქერი | 1,18 | 10,0 | 3,5 | 1,05 | 1 | 2,59 |
| 22.40 | 1336 | მაკაბი-ვალენსია | 1,18 | 10,0 | 3,5 | 1,05 | 1 | 2,59 |
| 23.40 | 1337 | ბენეტონი-პანათინაიკოსი | 1,18 | 10,0 | 3,5 | 1,05 | 1 | 2,59 |
| 23.40 | 1338 | ოლიმპია-სკიპერი | 1,8 | 10,0 | 1,8 | 1,52 | 1 | 1,52 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

**24 მარტი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.45 | 7003 | ჩელსი-არსენალი | 2,3 | 1,45 |
| 23.45 | 7004 | რეალი-მონაკო | 1,2 | 3,5 |

**25 მარტი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.30 | 7005 | ბრიუგე-ბორდო | 3,5 | 1,2 |
| 23.30 | 7006 | პსვ-ოსერი | 1,35 | 2,5 |
| 23.45 | 7007 | რომა-ვილიარეალი | 2,3 | 1,3 |
| 24.00 | 7008 | ინტერი-ბენფიკა | 1,25 | 2,8 |
| 24.00 | 7009 | მარსელი-ლივერპული | 1,5 | 2,0 |
| 24.00 | 7010 | მალიორკა-ნიუკასლი | 6,5 | 1,01 |
| 24.00 | 7011 | ბარსელონა-სელტიკი | 1,7 | 1,7 |
| 00.30 | 7012 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,35 | 2,3 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5203 | ჩელსი-არსენალი | 1,75 | 1,85 |
| 5204 | რეალი-მონაკო | 1,85 | 1,75 |
| 5205 | ბრიუგე-ბორდო | 1,75 | 1,85 |
| 5206 | პსვ-ოსერი | 1,6 | 2,0 |
| 5207 | რომა-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 5208 | ინტერი-ბენფიკა | 1,7 | 1,9 |
| 5209 | მარსელი-ლივერპული | 1,65 | 1,95 |
| 5210 | მალიორკა-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 5211 | ბარსელონა-სელტიკი | 1,75 | 1,85 |
| 5212 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,9 | 1,7 |
| 5213 | ბოლონია-ლაციო | 1,75 | 1,85 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5503 | ჩელსი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | რეალი-მონაკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | ბრიუგე-ბორდო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | პსვ-ოსერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | რომა-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ინტერი-ბენფიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | მარსელი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | მალიორკა-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ბარსელონა-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ბოლონია-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5403 | ჩელსი-არსენალი | 1.9 | 1.9 |
| 5404 | რეალი-მონაკო | 1,3 | 3,4 |
| 5405 | ბრიუგე-ბორდო | 1,7 | 2,2 |
| 5406 | პსვ-ოსერი | 1,7 | 2,2 |
| 5407 | რომა-ვილიარეალი | 1,3 | 3,4 |
| 5408 | ინტერი-ბენფიკა | 1,3 | 3,4 |
| 5409 | მარსელი-ლივერპული | 1,8 | 2,0 |
| 5410 | მალიორკა-ნიუკასლი | 1,8 | 2.0 |
| 5411 | ბარსელონა-სელტიკი | 1,3 | 3,4 |
| 5412 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,2 | 4,0 |
| 5413 | ბოლონია-ლაციო | 2,0 | 1,8 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5303 | ჩელსი-არსენალი | 1.6 | 2.0 |
| 5304 | რეალი-მონაკო | 1.7 | 1.9 |
| 5305 | ბრიუგე-ბორდო | 1.65 | 1.95 |
| 5306 | პსვ-ოსერი | 1.65 | 1.95 |
| 5307 | რომა-ვილიარეალი | 1.75 | 1.85 |
| 5308 | ინტერი-ბენფიკა | 1.7 | 1.9 |
| 5309 | მარსელი-ლივერპული | 1.65 | 1.95 |
| 5310 | მალიორკა-ნიუკასლი | 1.65 | 1.95 |
| 5311 | ბარსელონა-სელტიკი | 1.65 | 1.95 |
| 5312 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1.75 | 1.85 |
| 5313 | ბოლონია-ლაციო | 1.6 | 2.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5003 | ჩელსი-არსენალი | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1.24 | 1,57 | 1.23 |
| 5004 | რეალი-მონაკო | 1.75 | 2.45 | 6.0 | 1.02 | 1.35 | 1.73 |
| 5005 | ბრიუგე-ბორდო | 2.4 | 2,05 | 4.4 | 1.1 | 1.55 | 1.39 |
| 5006 | პსვ-ოსერი | 2.4 | 2.05 | 4.4 | 1.1 | 1.55 | 1.39 |
| 5007 | რომა-ვილიარეალი | 1.75 | 2,45 | 6,0 | 1.02 | 1.35 | 1.73 |
| 5008 | ინტერი-ბენფიკა | 1,8 | 2,35 | 6,0 | 1.01 | 1,38 | 1.68 |
| 5009 | მარსელი-ლივერპული | 3.0 | 2,05 | 3.3 | 1.21 | 1.57 | 1.26 |
| 5010 | მალიორკა-ნიუკასლი | 2,8 | 2,15 | 3,3 | 1.21 | 1,51 | 1.3 |
| 5011 | ბარსელონა-სელტიკი | 1,75 | 2,45 | 6.0 | 1.02 | 1.35 | 1.73 |
| 5012 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,55 | 2.8 | 7,0 | 1 | 1,26 | 2 |
| 5013 | ბოლონია-ლაციო | 3.6 | 2,05 | 2,7 | 1,3 | 1,54 | 1.16 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5103 | ჩელსი-არსენალი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20.0 | 10,0 | 3,8 |
| 5104 | რეალი-მონაკო | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5105 | ბრიუგე-ბორდო | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5106 | პსვ-ოსერი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5107 | რომა-ვილიარეალი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5108 | ინტერი-ბენფიკა | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5109 | მარსელი-ლივერპული | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5110 | მალიორკა-ნიუკასლი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5111 | ბარსელონა-სელტიკი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5112 | ვალენსია-გენჩლერბირლიგი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 5113 | ბოლონია-ლაციო | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9004**

**ესპანეთი (27.03)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,35 |
| ვალენსია | 2,5 |
| ბარსელონა | 6,5 |
| დეპორტივო | 40,0 |

**9005**

**საფრანგეთი (27.03)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,7 |
| ლიონი | 1.7 |
| პსჟ | 5,0 |

**9008**

**ავსტრია (27.03)**

| | |
|---|---|
| აუსტრია | 1,5 |
| გრაცერი | 3,0 |
| რაპიდი | 4,0 |

**9009**

**დანია (27.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 2,0 |
| ესბიერგი | 2,5 |
| კოპენჰაგენი | 2,5 |

**9010**

**საბერძნეთი (27.02)**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1,7 |
| ოლიმპიაკოსი | 1,8 |

**9011**

**უკრაინა (27.03)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,45 |
| დინამო | 2,1 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (23.03)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,0 |
| იტალია | 3,6 |
| ესპანეთი | 2,4 |
| საფრანგეთი | 8,5 |
| პორტუგალია | 10,0 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (23.03)**

| | |
|---|---|
| რეალი | 3,3 |
| არსენალი | 3,6 |
| მილანი | 3,6 |
| ჩელსი | 5,0 |
| დეპორტივო | 9,0 |
| პორტუ | 10,0 |
| ლიონი | 15,0 |
| მონაკო | 20,0 |

**9023**

**უეფას თასი (25.02)**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 5,0 |
| ინტერი | 5,0 |
| ვალენსია | 5,0 |
| ნიუკასლი | 5,0 |
| რომა | 6,0 |
| ლივერპული | 7,0 |
| სელტიკი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 12,0 |
| პსვ | 12,0 |
| ვილიარეალი | 12,0 |
| ოსერი | 20,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| გენჩლერბირლ. | 30,0 |
| ბრიუგე | 40,0 |
| მალიორკა | 50,0 |

**9031**

**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,0 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 6.0 |
| დალასი | 12,0 |
| სტ.ლუისი | 25,0 |
| სან ხოსე | 15,0 |
| ტამპა ბეი | 10,0 |
| ბოსტონი | 18,0 |
| ლოს ანჯელესი | 25,0 |
| კალგარი | 30,0 |
| აილენდერსი | 40.0 |
| მონრეალი | 40.0 |
| ნეშვილი | 40.0 |

**9032**

**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2,0 |
| საკრამენტო | 3.5 |
| სან ანტონიო | 5.0 |
| მინესოტა | 6.0 |
| დალასი | 8.0 |
| ინდიანა | 10.0 |
| ნიუ ჯერსი | 12.0 |
| დეტროიტი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 30,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ნიუ იორკი | 60,0 |
| ფილადელფია | 75.0 |
| ბოსტონი | 75.0 |
| დენვერი | 75.0 |
| ტორონტო | 75,0 |
| მილუოკი | 75.0 |
| მემფისი | 75.0 |
| პორტლენდი | 100.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

*რამდენიმე დღეც და ერთა თასის მეხუთე და ბოლო ტურში ბორჯღალოსნები რუმინეთში იქაურ „მუხის ფოთლებთან“ საბრძოლველად გაემგზავრებიან. ფავორიტად რუმინელები ითვლებიან, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც რუსმა „დათვებმა“ გასულ კვირას გულგრილობისთვის და ქედმაღლობისთვის დასაჯეს. ანი „მუხის ფოთლები“ მსგავს სიბრიყვეს ალბათ აღარ გამოიჩენენ, თავს დააძალებენ და ქართველებსაც არტილერიის სრული ზალპით დაუხვდებიან. თანაც სხვა მიზეზიც აქვთ, რათა ბორჯღალის რაზმს არაფერი დაუთმონ. პარადოქსალური ფაქტია — რუმინელებს საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ არასდროს დაუმარცხებიათ ქართველები. ბორჯღალოსნები სულ ერთხელ, 2001 წელს ჩასულან ანთიმოზ ივერიელის მეორე სამშობლოში და იქიდან სასახელო გამარჯვება და ერთა თასი წამოუღიათ. დანარჩენი ოთხი შეხვედრიდან კი ვლახებს გურჯებისთვის სამი თბილისში მოუგიათ და ერთიც დუბლინში*

# მიხეილ ბურძგლა გვარწმუნებს
# რუმინეთი ჩვენსავით კარგია

*ქართული სარაგბო თემი სხვა მოვლენისთვის ემზადება. შეგახსენებთ, 29 მარტს განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება იგეგმება. რაგბის კავშირის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, აწ კი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მიხეილ ბურძგლამ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება უდროობის გამო იუარა, თუმც რუმინეთთან მატჩის თაობაზე საუბარი აღარ დაიზარა.*

— 26 მარტს ჩარტერით ბუქარესტში მივემგზავრებით და 27-ში თამაშის შემდეგ პირდაპირ შინ გამოვფრინდებით.

**— რა იცით წლევანდელ რუმინეთის ნაკრებზე?**

— ტრადიციულად ჩვენი მეტოქე ძლიერი გუნდია და ჩვენსავით კარგ რაგბის თამაშობს. დღეს ისევ დავსხდებით მწვრთნელები და კარგად შევისწავლით მათ თამაშს.

**— რუსეთ—რუმინეთის მატჩის ფირი გაქვთ?**

— დიახ, გვაქვს და რუმინელების ყველა კომბინაციას გულდასმით უნდა დავაკვირდეთ.

**— რითი არიან ძლიერი რუმინელები?**

— კონტრშეტევების დროს არიან სახიფათონი. ცოტათი თუ მოდუნდი და შეცდი, იმწამსვე თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ ყველა მომენტს და ქულასაც ადვილად იღებენ. მთავარია, მათთან უშეცდომოდ ვითამაშოთ.

**— ჩვენი ნაკრები რაზე იმუშავებს ყველაზე მეტად?**

— სტატიკაზე, შერკინებაზე. ჩვენი მიზანია, არა მარტო საკუთარი დერეფნები მოვიგოთ, არამედ მოწინააღმდეგესაც წავართვათ აუტები. მთავარია კონცენტრაცია, და მოედანზე ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ.

**— ნაკრებში ყველაფერი რიგზეა?**

— ხაზში სერიოზული პრობლემები გვაქვს. ტრავმირებულები არიან ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, მაჩხანელი, ჯიმშელაძე. სათუოა ფირფილაშვილის თამაშიც, თუმცა იგი შეკრებაზე მაინც მიგვყავს. გამოგვეთიშა ლექსო გუგავა, ისევ და ისევ ტრავმის გამო. გიორგაძე და ელიზბარაშვილი შვიდკაცაზე მიდიან ჰონკონგში. ამდენი დანაკლისი დაეტყობა ნაკრებს.

**— ამდენ შეცვლას რომ აკეთებთ, ეს გუნდს სასიკეთოდ წაადგება?**

— დამისახელეთ მსოფლიოს ნებისმიერი გუნდი, რომელმაც სუპერ-სათადარიგო სკამი ჰყავს. ამდენი დაშავებული მოთამაშე რომ აკლდება გუნდს, სხვა რა უნდა ვქნათ?

**— საერთოდ ექსპერიმენტებზე გეკითხებით...**

— ჩვენ წლეულს ბევრი მოთამაშის გამოცდას ვგეგმავთ, რათა მომავალში თითოეულ მათგანზე დაწვრილებითი ინფორმაცია გვქონდეს. გიორგი ჯორჯაძისა და გიორგი კაჭარავას გამოცდა ვერ მოვახერხეთ ახლა და მომავალში მათაც ვნახავთ.

**— როგორ ფიქრობთ, რუმინელებმა რუსეთთან რატომ წააგეს?**



ბაჩო კიკილაშვილის ფოტო

— ვფიქრობ, „დათვებმა“ პირველ რიგში იმის გამო მოიგეს, რომ 10 ნომერზე რაჩკოვი არ იდგა. ჩვენთან გამოჩნდა, რომ რაჩკოვი ინიციატივას ვერ იღებდა თავის თავზე და ვერც აქტიურობდა. გარდა ამისა, რუსებმა ბრწყინვალედ ითამაშეს დერეფნებში და ჩვენგან განსხვავებით, „მუხის ფოთლებს“ თითქმის ყველა აუტი მოუგეს. სხვათა შორის, შერკინებაშიც საკმაოდ დაჯაბნეს მეტოქე.

**— ჩვენ რას ვიზამთ?**

— ვეცდებით, მოვიგოთ.

**ნინო ლეჟავა**



ბაჩო კიკილაშვილის ფოტო

## ზაზა ქასაშვილი
# არჩევნები სასაცილოა
## ბორჯღალი უკუღმა დატრიალდება

*ამ შაბათს რუსეთი—რუმინეთის შეხვედრას საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილიც დაესწრო. მისი კრასნოდარში ჩასვლის მიზეზი მხოლოდ ბორჯღალოსანთა მომავალი მეტოქის საქმეში ნახვა და ტურის ცენტრალური შეხვედრის ხილვა როდი იყო. ქასაშვილმა ჯერ შვიდკაცა რაგბის ევროპის სერიის მოსკოვურ ეტაპთან დაკავშირებით გამართა შეხვედრა, შემდეგ კი ახალი პროექტის თაობაზე რუმინეთის და რუსეთის რაგბის თავკაცებს ესაუბრა. ევროპის შვიდკაცა რაგბის ქართველი შეფი ახლა საფრანგეთშია, ამ დღეებში ჰონკონგში ჩავა და შვიდკაცას იქაურ სუპერტურნირში საქართველოს ნაკრების გამოსვლას მიადევნებს თვალს. თანმიმდევრულად მივყვეთ*

— რუსეთისგან რუმინეთის ძლევას არავინ ელოდა. თქვენი აზრით, რატომ წააგეს „მუხის ფოთლებმა“?

— რუმინელები რუსეთში ფსიქოლოგიურმა განწყობამ დაღუპა. მოედანზე ზედმეტად თავდაჯერებულები გავიდნენ და თამაში დასაწყისშივე წააგეს. მასპინძლებმა კი თბილისური მარცხის შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოახდინეს, მაქსიმალურად მობილიზება შეძლეს და დამსახურებულად იმარჯვეს.

**— შაბათს რუმინეთში ჩვენ გვიწევს თამაში. გვაქვს მოგების შანსი?**

— შექმნილ სიტუაციას ბუმერანგულს დავარქმევ, ახლა იგი ჩვენსკენაა მომართული. მასპინძელ რუმინეთის ჩვენთან ფავორიტობას დაუგვგმავი ქულების დაკარგვა კიდევ უფრო ამყარებს. მეტოქე გაცილებით ორგანიზებული იქნება, ვიდრე რუსეთთან იყო. ჩვენ კი, როგორც ყოველთვის, ახლაც ბოლომდე ვიბრძოლებთ და გამარჯვების მოსაპოვებლად თავს არ დავზოგავთ.

**— ჩეხეთთან ნათამაშებ შემადგენლობას მხოლოდ ორი ლეგიონერი შეემატა...**

— ამ ეტაპზე პრიორიტეტად შვიდკაცა რაგბი მივიჩნიეთ და დიდი გუნდის მოთამაშეების ჰონკონგში გაშვება ვარჩიეთ. 26-28 მარტს იქ მსოფლიოს სერიის მეხუთე ტურნირი იმართება და აუცილებლად ღირსეულად უნდა გამოვიდეთ. მიზნად 2005 წლის შვიდკაცას მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში დავისახეთ და აუცილებლად უნდა მივაღწიოთ.

**— ნაკრები უკვე ჰონკონგშია?**

— ზაზა ლეჟავას გუნდმა რამდენიმედღიანი შეკრება ფრანგულ ორლეანში გაიარა და ჰონკონგში გუშინ გაფრინდა. დღეისთვის უკვე ერთი ვარჯიშიც მოასწრო.

**— ჩვენმა შვიდკაცას ნაკრებმა საფრანგეთთან თუ ჩაატარა დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრა?**

— ამ თამაშს თავად დავესწარი. საფრანგეთი საოცრად შეკრული გუნდია. შემადგენლობიდან ნახევარზე მეტს ორი წლის წინ თბილისში უთამაშია. აქამდე კი ინგლისი, შოტლანდია და ირლანდიაც დაამარცხა. ბევრი პრობლემა შევუქმენით, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მეორეში კი ვეღარაფერი მოვუხერხეთ. გამოცდილებით გვაჯობეს. საკმაოდ კარგი ნაკრები გვყავს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო. პირველ რიგში ენერგიის მთელ მატჩზე თანაბრად გადანაწილება უნდა ვისწავლოთ.

**— თქვენ თუ აპირებთ ჰონკონგში ჩასვლას?**

— რა თქმა უნდა, ამ დღეებში გავემგზავრები. მოგეხსენებათ, ევროპულ შვიდკაცას ვხელმძღვანელობ და ჩვენი ნაკრების ქომაგობას რომ თავი დავანებოთ, ჰონკონგში სხვაც ბევრი საქმე მაქვს.

**— ისევ რუსეთს მივუბრუნდეთ. იქ თქვენს გარდა ფირა-ს პრეზიდენტი ბაკეც იყო ჩასული.**

— შვიდკაცას ევროპის სერიის ერთ ეტაპს 20-21 ივნისს მოსკოვმა უნდა უმასპინძლოს და ამასთან დაკავშირებული საკითხები იყო მოსაგვარებელი. გარდა ამისა, სერიოზული მოლაპარაკებები ვაწარმოეთ რუსეთისა და რუმინეთის რაგბის კავშირების თავკაცებთან. შავი ზღვის რეგიონალური შეჯიბრის დაფუძნებაზე უკვე დიდი ხანია, ვმუშაობთ. რუსული შეხვედრების შემდეგ კი ფორმალობებიღა დარჩა მოსაგვარებელი.

**— ეგ როდისღა გაირკვევა?**

— ამაზე გია ჭუმბურიძე მუშაობს. რუმინეთის, რუსეთისა და უკრაინის ფედერაციებთან იგი ყველა ნიუანსს 1 მაისამდე მოაგვარებს.

**— ამ ეტაპზე რისი თქმა შეგიძლიათ, დაახლოებით როდის ჩატარდება ეს ტურნირი და რა გუნდები ითამაშებენ?**

— ეს რეგიონალურ ნაკრებთა შეჯიბრი იქნება. რუსეთი სამ გუნდს გამოიყვანს, საქართველო და უკრაინა ორ-ორს, რუმინეთი კი ერთს. ჯერ სისტემა დასაზუსტებელია, მაგრამ ერთი აქედანვე გადაწყვეტილია, გამარჯვებული 9-10 ოქტომბერს გამოვლინდება. იგი ევროპის რეგიონთა თასის გათამაშებაში პირდაპირ მეოთხედფინალიდან ჩაერთვება შარშანდელ ჩემპიონ ფრანგ რუსიონთან ერთად. გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ ამ ტურნირზე თვით საფრანგეთი, ინგლისი, შოტლანდია და იტალია მერვედფინალიდან იწყებენ თამაშს.

**— მაშასადამე შავი ზღვის რეგიონთა თასი წლეულს იწყება?**

— აუცილებლად. ახლო მომავალში ყველაფერი ზუსტად გვეცოდინება.

**— ბოლოს, 29 მარტის რიგგარეშე ყრილობაზეც გკითხავთ. აპირებთ მასზე ჩამოსვლას?**

— ყრილობის ჩატარება წარმოუდგენელი და სასაცილოა. ფედერაციას ამ დროს მაგისთვის არ სცალია. არავის არა აქვს უფლება, „ვარდების რევოლუციის“ მონაპოვარი სათავისოდ გამოიყენოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

*ინტერვიუს დასასრულს ზაზა ქასაშვილმა ერთი საინტერესო ინფორმაციაც მოგვაწოდა. მალე ბორჯღალი მხარს შეიცვლის და საპირისპირო მიმართულებით დატრიალდება. თუ აქამდე „მხვნელი“ იყო, ახლა „მომკელი“ გახდება, აქაოდა დროა მოსავალზეც ვიფიქროთო.*



ბაჩო კიკილაშვილის ფოტო

ჰონკონგში გაფრენამდე საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა საფრანგეთთან ივარჯიშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# აი, სიურპრიზი!

## გუნდი-სიურპრიზი უპრიზოდ რჩება

— 22 მარტი —

**დენვერი 102:80 კლიპერსი**

დენვერი: მილერი (13), ლენარდი (10), ენტონი (22), ნენე (13), კემბი (4); ბერი (12), ბოიკინსი (11), ვაიტი (7), დოლიკი (6), ბოუენი (2), *ცქიტიშვილი* (4 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა), ელსონი

კლიპერსი: დრობნიაკი (24)

**პორტლენდი 85:93 ჰიუსტონი**

ძირითადი დრო 83:83

პორტლენდი: რენდოლფი (20), სტუდემაიერი (19)

ჰიუსტონი: მინგი (28), ფრენსისი (22)

**ფილადელფია 107:98 დალასი**

ფილადელფია: ტომასი (27), სალმონსი (21)

დალასი: ნოვიცკი (30), ჯემისონი (14)

**ინდიანა 101:77 ჩიკაგო**

ინდიანა: მილერი (17), არტესტი (15)

ჩიკაგო: კარი (13), პარგო (12)

**ნიუ იორკი 96:84 ატლანტა**

ნიუ იორკი: მუჰამედი (18)

ატლანტა: ჯეკსონი (20)

ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო — ჯეფ ბზდელიკის გუნდი-სიურპრიზი ამოვარდა დასავლეთის საპლეიოფო რვეულიდან. დარჩენილ ათ მატჩში „დენვერმა" ეგებ კვლავ იყოჩაღოს და პლეი ოფიც დააჭაშნიკოს, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, ბზდელიკს უთუოდ ექნება სატრაბახო, დაჩანაკებული კრებულისგან მებრძოლი და შეუპოვარი ხუთეული გავაკეთეო.

სწორედაც რომ ხუთეული და არა გუნდი, რადგან „დენვერმა" რაც ამ სეზონში სიურპრიზები აცხო, სულ ძირითადი ხუთეულის ხარჯზე. სწორედ ამას ჩიოდა ნიკა ცქიტიშვილიც, ბზდელიკს ხუთი კაცი ჰყავს ამოჩემებული და სათადარიგო სკამისკენ გამოხედვაც არ უნდაო. მართალი რომ ითქვას, არც ეს ხუთეული იყო ისეთი, დასავლეთის საპლეიოფო ორომტრიალში იოლად გაეტანა თავი, მაგრამ კარმელო ენტონი მეტად ბარაქიანი ვინმე გამოდგა, ბრაზილიელმა ნენემაც იყოჩაღა და დანარჩენ საშუალოებთან სინთეზში ამ ბიჭებმა პლეი ოფის ზღურბლამდე მოატანეს. ახლა კი დაიღალა, ბატონო, ეს ხუთი კაცი, „დენვერმა" წაგებებს უხშირა და პლეიოფსმილმა არასდროს დარჩენილი ჯერი სლოუნისგან დამოძღვრილ „იუტას" ზურგსუკან აღმოჩნდა.

ეს წინა კვირაში მოხდა, როცა „დენვერმა" დეტროიტში წააგო. გუშინწინ კი დენვერელებს იოლად ჩასაყლაპი მეტოქე ჰყავდათ „ლოს ანჯელეს კლიპერსის" სახით, თუმც ვერც მისი დამარცხების შემდეგ დაიბრუნეს სანუკვარი მე-8 ადგილი დასავლეთში. „იუტა" ბზდელიკის გუნდს წაგებათა სიმცირის ხარჯზე უსწრებს.

ცქიტიშვილისთვის უკვე წესად იქცა თამაშის ბოლო წუთებზე მოედანზე გასვლა, ოღონდ ეს ისეთ მატჩებში, როცა ყველაფერი გარკვეულია. მაგალითად, წინა შეხვედრაში ნიკამ მთელი ბოლო მეოთხედი ითამაშა „დეტროიტთან", რაკი ამ დროისთვის „დენვერს" მარცხი უკვე „განაღდებული" ჰქონდა. „კლიპერსთან" კი ქართველს ბოლო 4 წუთი არგუნეს, როცა ლოსანჯელესელებს აღარაფერი ეშველებოდათ.

დასავლეთის მეპლეიოფეთა დავაში ჩაბმას ლამობს „პორტლენდიც", თუმც უქართველოდ — ვლადიმერ სტეფანია ქრონიკულად მტკივან ახალნაოპერაციევ მუხლს მკურნალობს.

პორტლენდელებმა გუშინწინ მეპლეიოფეებთან მიახლოვების ჩინებული შანსი გაანიავეს. ლამის წასაგებად განწირული მატჩი შემოუტრიალეს ტეხასელ „რაკეტებს", თუმც ოვერტაიმში მაინც გაითელნენ. მესამე მეოთხედის შუაში „ჰიუსტონი" 17 ქულას იგებდა და თითქოს თავიც ქუდში ჰქონდა, მაგრმ დეიმონ სტუდემაიერის ვაინაჩრობამ შედეგი გამოიღო. „პორტლენდმა" 20:5 შტურმი მოაწყო და სირენამდე ხუთიოდ წუთით ადრე 81:75 დაწინაურდა. ჰიუსტონელებს შეეშინდათ, მათ ხომ წინა მატჩშიც 17-ქულიანი ლიდერობა გაანიავეს „საკრამენტოსთან".


ჯეფ ბზდელიკს დალაგებული აეწეწა

ამ დროს გამოიღვიძა ჩინელმა დევმა იაო მინგმა, „ჰიუსტონის" ცენტრს მანამდე ცენტის საქმე არ გაუკეთებია, ახლა კი ჩინელი თავისიანებს ჯერ მატჩის ოვერტაიმში გადაყვანაში დაეხმარა, შემდეგ კი გზააბნეულ პორტლენდელებს წესიც აუგო. „ბლეიზერსი" ოდნავ კი შეფერხდა, მაგრამ „იუტას" და „დენვერს" რომ ბოლო წამამდე არ დაანებებს პლეი ოფის სანუკვარ საგზურს, დღესავით ნათელია.

**ირაკლი პერტაია**



*სანამ ნბა-ში მოხვდებოდა, ამარე სტუდემაიერი ერთი უზრდელი და ავყია ზანგი იყო. ნბა-ს კომბინიტმა კი იგი გადაამუშავა და მეტნაკლებად ასწავლა ზრდილობა. თუნდაც ჟურნალისტებთან ამარეს სიტყვა აღარ ეშლება. აი, კალათბურთის თამაში კი სტუდემაიერს არასდროს ეშლებოდა — წინა სეზონში რჩეულ ახალბედად დაასახელეს, წლეულს „ახალგაზრდული" ოლ სტარის უძვირფასესი მოთამაშე გახდა. „ფინიქს სანზის" 208-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი თანდათან მიიწევს დიდ ოლ სტარამდე და სხვა სიმაღლეებამდე*

# მე ლიდერი ვარ

## ზრდილობა რობოტსაც სჭირდება

— მცირე ოლ სტარის საუკეთესო მოთამაშე გახდი მრავალი მოხდენილად ჩატენილი ბურთით. რას გვეტყვით ამ ილეთზე?

— ის ათლეტიზმი, რასაც ნბა-ს ახალი თაობა ფლობს, მცირე ოლ სტარმა კარგად გამოაჩინა. ეს მთავარი ატრიბუტია სანახაობრივი კალათბურთის სათამაშოდ და, რა თქმა უნდა, ჩასატენადაც. ოლ სტარი სწორედ საამისოდაა მოგონილი. ჩვენც მეტი რა გვინდოდა, ქულების გროვებაზე ვიყავით გადასულნი და ვცდილობდით, ეს რაც შეიძლება ეფექტური ილეთებით გაგვეკეთებინა.

— როგორი ჩატენვა მოგწონს ყველაზე მეტად?

— აი, ბურთს ფეხებს შორის რომ გაიტარებ და ორივე ხელით ჩატენი. ამას ყველაზე მაგრად ლებრონ ჯეიმსი აკეთებს, მეორე ტაიშონ პრინსია.

— ლებრონი ახსენე და რას იტყვი, გახდება ეგ ბიჭი წლის ახალბედა?

— ჯეიმსიც და კარმელო ენტონიც ჩემი ძმები არიან. ჩემზე რომ იყოს, ორივეს ერთად მივცემდი ამ ჯილდოს.

— ამ თამაშში ძალიან აქტიური იყავი, გამოჯამრთელების შემდეგ თანდათან აუმჯობესებ თამაშს...

— როცა მოედანზე გავდივარ, ვცდილობ, რობოტად გადავიქცე. ჩემთვის არ უნდა იყოს სიხარული, მწუხარება და არანაირი ემოცია, მხოლოდ ბურთი, მეტოქე და მე. აი, საამისო რეცეპტი — მთელი გულით ვარჯიში, მონდომება და გამოცდილება.

— რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილი მატჩები „ფინიქსისთვის" მაინც მნიშვნელოვანი უნდა იყოს მიუხედავად იმისა, რომ პლეი ოფში ვერ გადიხართ...

— თავისთავად, რადგან წინ მომავალი სეზონია.

— **სამომავლოდ შენ ალბათ „ფინიქსის" ვარსკვლავი გახდები. მეთანხმები?**

— მიყვარს ლიდერის როლი. მეტიც, ეს როლი შემეფერება კიდეც. ვცდილობ, ყოველთვის ვულიდერო ჩემს გუნდს, მაგრამ ვახერხებ თუ არა ამას, ისაა საკითხავი.

— **დასახვეწი ბევრი აქვს „ფინიქსს" და თქვენც პირადად...**

— ჰო, მაგრამ გამოვასწორებთ ყველაფერს. ამას დრო სჭირდება. მოთმინება უნდა ვიქონიოთ. მაიკლ ჯორდანს უთქვას, თუ არ წააგებ, მოგებას ვერ ისწავლიო. აი, მთელი ფილოსოფია. მოგვეცით დრო, ყველაფერი იქნება.

— **სტივენ მარბერის წასვლის შემდეგ თქვენზე მეტი დატვირთვაა...**

— კი, მაგრამ რა ვუყოთ, ხელმძღვანელობამ ასე განიზრახა. მარბერი წავიდა, ადრე თუ გვიან მისი შემცვლელიც გამოჩნდება.

— **„ფინიქსში" თქვენი ლიდერობა დიდხანს გაგრძელდება? ამბობენ, „სანზი" სახელფასო ფონდს ათავისუფლებს, რათა კობი ბრაიანტი შეიმატოსო...**

— მასეთ რამეებზე არ ვფიქრობ, რადგან, თუ მოსახდენია ეგ ტრანსფერი, ვერაფერს შევცვლი. მე მხოლოდ დღევანდელ დღეზე ვარ ორიენტირებული, რადგან არავინ იცის, ხვალ რა მოხდება.

— **რას იტყვით „ფინიქსის" ბრაზილიელ ახალბედა ლეანდრო ბარბორაზე, შეცვლის ის მარბერის?**

— ბარბოსა ძალიან სწრაფი და მოაზროვნე კალათბურთელია. როგორც ყველა ახალბედას, მასაც დახვეწა სჭირდება. მჯერა, რომ ბარბოსა ბევრს მიაღწევს ნბა-ში.



## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები

### ნახევარფინალი

*ფლენსბურგი* (გერმანია) 30:20; 26:36 **მაგდებურგი** (გერმანია)

**სიუდად-რეალი** (ესპანეთი) 35:36; 32:34 *პივოვარნა* (სლოვენია)

# ხელბურთი პროვინციაში დარჩა

**ჩემპიონთა ლიგის** მორიგი გათამაშება ფინიშზე გავიდა. ორი ფინალური მატჩიღაა გასამართი. შარშან შემოდგომაზე 32-გუნდა ჯგუფურ ტურნირში ევროპის ყველაზე მაღალრეიტინგიან გერმანიისა და ესპანეთის სამ-სამი კლუბი ჩაება. გერმანელთაგან ერთმა ფინალამდე მოაღწია, პირინეელებმა კი ფინალამდე გზაში სამივე დაკარგეს. მათი ბოლო წარმომადგენელი პატარა სლოვენიურ ქალაქ ცელიეს მელუდეებმა გამოთიშეს.

ორივე შეხვედრა მეტად დაძაბული ბრძოლით წარიმართა. რეალელებმა თავიანთ მოედანზე პირველი ტაიმის ოთხბურთა ჩამორჩენა თამაშის მიწურულს მინიმუმამდე კი შეამცირეს, მაგრამ ანგარიშის გაყაიმება კი ველარ შეძლეს.

საპასუხო მატჩიც ბოლომდე ქულა-ქულაში მიმდინარეობდა და ამჯერადაც „პივოვარნას" გამარჯვებით დასრულდა. მეტოქეთა ძლევაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს სლოვენიელთა მთავარმეგოლეებმა რენატო ვუგრინეცმა, რომელმაც „სიუდად-რეალს" 16-ჯერ გაუტანა (8+8) და სერგეი რუტენკამ (5+8).

უცნაურად წარიმართა გერმანული კლუბების „მაგდებურგისა" და პროვინციულ „ფლენსბურგ-ჰანდევიტის" დაპირისპირება. ფლენსბურგში მასპინძლებმა ლიგის 2002 წლის ჩემპიონს სენსაციური, ათბურთიანი მარცხი აგემეს და ფინალის საგზურიც თითქმის ჯიბეში ედოთ, მაგრამ კინაღამ ხელი მოეცარათ. მაგდებურგში იგივე განმეორდა, ოღონდ პირიქით. „მაგდებურგის" ფრანგმა ლეგიონერმა ჟოელ აბატიმ (11) და მიმდინარე გათამაშების მთავარმა ბომბარდირმა შტეფან კრეტჩმარმა (7) სტუმართა დაცვა კი დააწიოკეს და უზარმაზარი სხვაობაც გაათანაბრეს, თუმც მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. ფინალში „ფლენსბურგი" გავიდა სტუმრად მეტი გატანილი ბურთების წყალობით.

ფინალური თამაშები 18 და 25 აპრილს გაიმართება.


„მაგდებურგს" შტეფან კრეტჩმარის გოლებმაც ვერ უშველა




# კაცობის მედალი

## რაფაელ ჩიმიშკიანმა ეს ვერცხლიც დაიმსახურა

### ღვინის სმა და ქეიფი მტკვარნაყლაპი კაცის იუბილეზე

თუ საქართველოს ერთ-ერთ პირველ ოლიმპიურ ჩემპიონთაგანს რაფაელ ჩიმიშკიანს სადმე იუბილეს გადაუხდიდნენ, ეს სწორედ აქ, ამ მიდამოებში უნდა მომხდარიყო — სანაპიროზე. ჰოდა, გუშინ საღამოს ასეც მოხდა რესტორან „ლორდში“. ჩიმიშკიანს შტანგის მარჯვედ ქაჩვით, აჭიმვითა და აკვრებით მოპოვებული ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი, მსოფლიოს ორი, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ხუთი ჩემპიონობა, ამ შეჯიბრებებზე კიდევ მრავლად მოპოვებული ვერცხლის მედლები და უამრავი მსოფლიოს რეკორდი 160 კაციან სუფრაზე დაუფასეს. გუშინ რაფაელ ჩიმიშკიანი 75 წლისა მოიყარა.

რა თქმა უნდა, იყო ბევრი მოგონება და მხიარულება, მე კი მტკვრისგალმა რესტორან „არაგვისკენ“ რომ გავიხედე, გამახსენდა თავად რაფაელ ჩიმიშკიანის ნაამბობი იმაზე, თუ როგორ მოხვდა ეს „შუსტრი“ ბიჭი, როგორც თავად იუბილარს თავის ბავშვობის გახსენებაზე უყვარს თქმა, ძალოსნობის ფიცარნაგზე.

„მაშინ რესტორან „არაგვის“ ტერიტორიაზე მდებარე ადგილას „კუპალნიას“ ვეძახდით. იქვე აუზიც იყო, ბორანიც და ჩვენი საყვარელი ადგილი გახლდათ. მაშინ მეორე მსოფლიოს ომის ფრონტიდან დაბრუნდა ერთი ძალოსანი ვალენტინ იანკოვიჩი. დაჭრილი იყო და ნაჭრილობევი ეტყობოდა, მაგრამ დიდებული აღნაგობისა იყო. იცოდა რომ კარგად ვჭიდაობდი და წამაქეზა, მოდი ვიჭიდავოთ და თუ მომერევი, ძალოსნობის სექციაში მიგიყვანო. ვიჭიდავეთ და ვაჯობე. თან წყალში გადავაგდე და გადავყევი კიდევაც. მე ისე კარგად ვერ ვცურავდი, როგორც იანკოვიჩი. ჰოდა, იმანაც ჯავრი იყარა და ბლომად მტკვრის წყალი მაყლაპა, მაგრამ სიტყვა არ გატეხა — მეორე დღეს დათქმულზე ერთი საათით ადრე მივედი დარბაზში. მერე, მწვრთნელი რომ მოვიდა, ერთი ამხედდამხედა და, რამდენი წლისა ხარო. ჩვიდმეტისა-მეთქი. არ დამიჯერა, ჯანმრთელობის ცნობა მოიტანეო. ბოლოს გამსინჯა და შტანგა ამაწევინა. ორმოცი კილოგრამი ავჭიმე. მას მერე შტანგა ხელიდან არ გამიშვია.“



არ გაუშვია და მას მერე იყო ის ნადავლი. ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ.

შტანგასვე უმადლის ჩიმიშკიანი, სახეზე ერთი ნაოჭიც რომ არ ეტყობა.

მაგრამ მთავარი, როგორც ჩვენში იტყვიან, კაცობაა და არც ამაში ჩამორჩება ვინმეს. ამიტომაც იყო, გუშინ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა რამაზ გურგენიძემ ჩიმიშკიანს ვერცხლის მედალი რომ გადასცა — რაც ოქრო იყო, მამალაძემ გაზიდაო.

მაგრამ მთავარი ოქრო-ვერცხლი კი არა, დაფასება და აღიარებაა, რისი გამოხატულებაც გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური ფონდის მიერ „ლორდში“ გამართული ლორდთა საკადრისი და ის გუშინდელი მედალი იყო.

„ეს მედალი იმათთვის დავაწესეთ, ვინც კაცობაში არ იჭრება“ — გვითხრა რამაზ გურგენიძემ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**



დიდი თაობა: ლევან თედიაშვილი, ვახტანგ ბალავაძე, გურამ საღარაძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, დავით ციმაკურიძე, მზია ჯუღელი და რობერტ შავლაყაძე

# იტალია ოლიმპიადას ორი წლით ადრე იწყებს

**ახლა** მთელი ყურადღება ამ ზაფხულს გასამართი ათენის ოლიმპიური თამაშებისკენაა მიმართული. თუმცა, არც 2006 წელს იტალიის ქალაქ ტურინში გასამართ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ივიწყებენ.

ტურინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადა, რომ ამ თამაშების საპრეზენტაციოდ დიდი მონდომებით ემზადებიან. პრეზენტაცია, რომელიც 16 აპრილს სიცილიაში დაიწყება, ორ წელიწადს გაგრძელდება და რაც მთელ იტალიას მოედება.

ამ დროის განმავლობაში იტალიის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებნი ნახავენ მულტმედიურ წარმოდგენას, რომელიც ოლიმპიადის ორგანიზატორთა აზრით, მის მნახველთ შესაძლებლობას მისცემთ უკეთ წარმოიდგინონ მომავალი ოლიმპიური თამაშები. მაგალითად, სპეციალურ პანორამულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ფილმი სამგანზომილებიანი გრფიკით, რომელსაც სპეციალური ეფექტები დაამშვენებს. ამას გარდა, ყველა მსურველს შეეძლება საკუთარი თავი გამოსცადოს ოლიმპიურ თამაშებში, რისთვისაც საკმარისია მათ მიმართონ კომპიუტერულ მოწყობილობებს.

ამ საპრეზენტაციო ტურის ორგანიზატორთა აზრით, ამგვარი „წარმოდგენის“ მთავარი მიზანია იტალიის მოსახლეობისთვის ოლიმპიური ღირებულების გაცნობა და სულისკვეთების ანთება.

„ოლიმპიური თამაშების ამგვარი თანამედროვე პრეზენტაცია პირველად ეწყობა და მოხარული ვართ, რომ შეგვიძლია ოლიმპიური ბატალიების მწვავე განცდები შევაგრძნობინოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, რომლებიც დაშორებულნი არიან სპორტის ზამთრის სახეობათა სარბიელს“ — თქვა „ტურინი-2006-ის“ საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის წარმომადგენელმა ეველინა კრისტილინმა.

გათანამედროვებული იქნება აგრეთვე ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ოლიმპიური ჩირაღდნის დიზაინიც, რომლის გარეგნულ სახეზეც იზრუნებს კომპანია „PININFATINA SPA“.

„ჩვენ ფრიად კმაყოფილნი ვართ იმით, რომ ეს კომპანია, რომელიც იტალიური დიზაინისა და ინდუსტრიალური კულტურის საუკეთესო წარმომადგენელია, თავის სამსახურს გაუწევს ჩვენს ოლიმპიურ თამაშებს“ — თქვა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა ვალენტინო კასტელიანიმ.

უკვე ცნობილია, რომ მთავარი იდეა, რომელიც ამ კომპანიამ უნდა განახორციელოს, იქნება პიემონტის ოლქის იმ საუკეთესო ტრადიციების ჩირაღდანში წარმოდგენა, რომელიც ავტომშენებლობის ტრადიციებშია ასახული, პიემონტის ცენტრი კი სწორედ ტურინი გახლავთ.

# ბერძნებს ჭერი ასძვრათ

**ახლა** უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს წლევანდელი ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ათენის არჩევა სანანებლად გაუხდა. ამ ოლიმპიადის მასპინძლები ბევრს კი ირწმუნებოდნენ, რომ ყველა სპორტული ბაზა საოლიმპიადოდ მზად გვექნებაო, მაგრამ ფუჭი გამოდგა მათი მტკიცებები. ამიტომაც საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ უარს ვამბობთ საცურაო აუზის გადახურვაზე და საწყლოსნო სახეობებში შეჯიბრებეს ღია ცის ქვეშ ჩავატარებთო.



ათენში მოცურავეები და წყალში მხტომელები ღია ცის ქვეშ დარჩებიან

ბერძენთა აზრით, ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ისინი ვერაფრით მოასწრებენ საცურაო აუზის გადახურვას. ამიტომაც მშენებლებს ამ აუზში ხელი დაუბანიათ, მის ამ ბაზის ნაცვლად თავად იხურავენ ქუდს და მიდიან.

ცხადია, ეს სერიოზული დარტყმა იქნება ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებისთვის, მით უმეტეს, რომ ეტყობა, აუზის ბედს სხვა ოლიმპიური ბაზაც გაიზიარებს.

# ოლიმპიური რეკორდი ოლიმპიადის დაწყებამდე

**დღემდე** გამართული ოლიმპიური თამაშებიდან ყველაზე ცოტა დელეგაციით იყო წარმოდგენილი სენტ ლუისის 1904 წლის თამაშები, სადაც მხოლოდ 12 სახელმწიფოს წარმომადგენლები გამოდიოდნენ. ამ მხრივ რეკორდული გამოდგა 2000 წელს სიდნეიში გამართული ოლიმპიადა, სადაც 199 ქვეყნის დელეგაცია გამოვიდა.

ათენის ოლიმპიური თამაშები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ნათელია, რომ იგი სიდნეის რეკორდს გააუმჯობესებს და მასში 202 ქვეყნის დელეგაცია ჩაებმება. მონაწილე ქვეყანათა რაოდენობის გაზრდას განაპირობებს ოლიმპიურ ოჯახში ავღანეთის, აღმოსავლეთ ტიმორისა და კირიბატის მიღება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## რეგულარული ჩემპიონატი




კალგარელმა ვილე ნიემინენმა დალასელი მარტი ტურკოს კართან შეიკუნტრუშა

# ოლივას ზედმეტი მოუვიდა
## ბევრი ჩხუბიც მავნებელია

22 მარტი

**ლოს ანჯელესი 1:2 ედმონტონი**
*0:1 0:0 1:1*
**0:1 პიზანი (18), 1:1 შტუმპელი (44), 1:2 რ. სმიტი (54)**

ბოლო წლებში „ედმონტონი“ ჩემპიონატის ბოლოსკენ იწყებს ბრძოლას პლეი ოფისთვის. ამას უკვე ყველა შეეჩვია, მაგრამ წლეულს ისე მოძლიერდა, აშკარად არასასიამოვნო სიურპრიზი შეიქმნა უშუალო კონკურენტისთვის. ზედიზედ 5 მოგების შემდეგ „მენავთობეები“ ელვისებურად შეიჭრნენ საპლეიოფო მარაქაში და ამჟამად დასავლეთში მე-7 იდგილზე იმყოფებიან. თან გუნდი სწორედ თავის უშუალო კონკურენტებს ამარცხებს და მისი მოპოვებული ქულებიც ორმაგად ფასობს.

„მენავთობეთა“ მორიგი მსხვერპლი „ლოს ანჯელესი“ გახდა, რომელმაც თავის მოედანზე ვერაფერი გააწყო სტუმართა ზესწრაფი ფორვარდების წინააღმდეგ. „მეფეები“ ვერც თავინათი ლიდერის ლუგ რობიტაილის მიღწევამ ანუგეშა. საგოლე პასის წყალობით ლუკს კარიერაში 1370 ქულა მოუგროვდა და ლიგის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი მარცხენა გარემარბი შეიქნა. რობიტაილის პასის შემდეგ იოსეფ შტუმპელმა გაათანაბრა, მაგრამ 5 წუთში რაიან სმიტმა გააქარწყლა მათი იმედები.

„რა თქმა უნდა, ოდესმა დიდი სიამოვნებით გავიხსენებ ამ დღეს, მაგრამ ამჟამად ჩემს სარეკორდო ქულაზე უფრო გუნდის ორი ქულა გამახარებდა. ძალიან გავწბილდით“ — თქვა რობიტაილმა მატჩის შემდეგ.

**კალგარი 0:4 დალასი**
*0:3 0:0 0:1*
**0:1 კორსონი (8), 0:2 მოროუ (9), 0:3 არნოტი (19), 0:4 კორსონი (59)**

„კალგარის“ მწვრთნელი დუეინ სატერი მეტისმეტად უდროო დროს გაცხარდა. „ალების“ თავკაცი „ნეშვილთან“ წინა მატჩში მათ კარში გატანილმა გადამწყვეტმა გოლმა ისე გააცოფა, რომ თავის პირველ მოჩხუბარ კშიშტოფ ოლიკას მეტოქეთა პროვოცირება დაავალა. პოლონელმა აყლაყუდამაც ზედმიწევნით კარგად შეასრულა მწვრთნელის მითითება, ერთბაშად რამდენიმე მეტოქეს დაერია და მსაჯებსაც კი არ დაერიდა. ჰოდა, გამოჰკრა ხელი 3-მატჩიან დისკვალიფიკაციას. 2 მატჩით სატერიც მიაბრძანეს მოედნის მიღმა, უმისოდ კი „კალგარმა“ ვერ ივარგა ამ შეხვედრაში.

**მინესოტა 2:3 ფინიქსი**
*2:0 0:1 0:1 0:1*
**1:0 შუინარი (9), 2:0 შულცი (17), 2:1 დოუნი (30), 2:2 კლირი (51), 2:3 კომრი (65)**

# ყველა დაისჯება
## მესიე მესია არაა

ᲐᲚᲐᲠ ხუმრობენ ლიგის მამები. როგორც ჩანს, ნჰლ კიდევ უფრო მკაცრად შეებრძოლება ეხეშობისა და სისასტიკეს და არანაირ დათმობაზე არ წავა. უქმეებზე მომხდარ ორ ინციდენტს ლიგა უმალ დგამოეხმაურა და საკმაოდ მკაცრადაც დასაჯა დამნაშავენი. მეტიც, ბევრი ფიქრობს, რომ სასჯელი გადამეტებული იყო, თუმც გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ტორონტოელი უეიდ ბელაკი 8 თამაშით მოიკვეთა ჩემპიონატიდან. „კოლორადოსთან“ მატჩში მან ოსი ვაანანეხს ორივე ხელით სთხლიშა ყვანჯი. ფინელი მძიმე ტრავმისაგან სახის დამცავმა მინამ იხსნა. ბელაკმა კი იმართლა თავი, წონასწორობა ძლივს შევინარჩუნე და შემთხვევით გავიქნიე ყვანჯიო, მაგრამ ვინ დაუგდო ყური...




მარკ მესიეს უხეშობა არ შერჩა

ნჰლ-მა მარკ მესიეც კი არ დაინდო, თვით ლეგენდად ქცეული ჰოკეისტი. 43 წლის ვეტერანი წლეულს კარიერას ასრულებს და ეტყობა, ძალიან გაწბილებულია, რადგან სხვა რითი აიხსნება მისი მოქმედება. „რკინის მაიკი“ პიტსბურგელი მარიან შტანბაკის ერთმა ჩვეულებრივმა ბიძგმა ისე გააცხარა, რომ მას ყვანჯი შუბივით მოუქნია მუცელში. კიდევ კარგი, იოლად გადარჩა.

„მესიეს უდიდეს პატივს ვცემ, ის ხომ ლეგენდაა, მაგრამ მის საქციელს მაინც ვერ ვიგებ. ისეთი რა ჩავიდინე, რომ ასე მომექცა“ — დაიჩივლა მარტინმა. ორ მატჩს გამოტოვებს

**ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ**

## ამბერის ტურნირი

მონტე-კარლო. 20 მარტი-1 აპრილი

# უნგრელი დედოფლის შემდეგ რუსი მეფე ეტლიდან გადმოხტა

ლინარესის სუპერტურნირზე როცა რუსმა ვლადიმერ კრამნიკმა უნგრელ პეტერ ლეკოს მოუგო, გაჩნდა იმედი, რომ მათ უსაშველოდ გაწელილ ულიმლამო საყაიმო შეხვედრებს ბოლო მოეღებოდა და ნამდვილი ბრძოლები დაიწყებოდა.

ვარაუდი არ გამართლდა. მონტე-კარლოში მეტოქეებმა ერთი პარტიით დარღვეული ტრადიცია გაიხსენეს და მესამე ტურში კვლავ წყვილი ყაიმი გააგორეს. თუმც, თუ მათ „თვალხუჭუნა“ პარტიის მსვლელობას გადახედავთ, მიხვდებით, რომ ეს ყაიმისთვის ბრძოლა სულაც არ იყო.



ვლადიმირ კრამნიკი

დებიუტში ლეკომ კრამნიკს სიცილიური დაცვა შესთავაზა და რამდენიმე სვლაში ცენტრი საკუთარი პაიკებით აავსო. რუსმა მათ მოსაშთობად დიდ ძალას უხმო და შავი პაიკების აგრესია დროებით შეაჩერა. ლეკომ მთელი ყურადღება A ხაზისკენ გადაიტანა, სადაც მისი პაიკი ლამობდა ლაზიერობას. უნგრელმა მეოცნებე პაიკის დასაცავად ფიგურების მობილიზება მოახდინა და მის გამო დაფაზე დიდი ბრძოლა გაჩაღდა. შეტაკებისას მადიარმა ეტლი შესწირა პაიკის მომავალს და სანაცვლოდ ფიგურა ჩასათვლელი ხაზის ბოლოსწინა უჯრაზე გაამყარა. რუსსაც რაღა დარჩენოდა და 39-ე სვლაზე მის შესაკავებლად ეტლი თვითონაც დათმო. „სისხლიანი“ თამაში კვლავ გაგრძელდა და მაშინღა დასრულდა, როცა დაფაზე მოსაკლავი აღარაფერი დარჩა. 63-ე სვლაზე ბრძოლის ველზე ეულად დარჩენილმა შავ-თეთრმა ხელმწიფეებმა ქვეშევრდომთა დაღვრილ სისხლზე ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

არანაკლები ბრძოლა გაჩაღდა სწრაფ პარტიაშიც, თუმც აქ მეტოქეებმა 35-ე სვლაზევე არჩიეს მშვიდობიანად დაშორება.

სხვა პარტიებიდან აღსანიშნავი იყო ინდოელი ვიშვანათან ანანდის წყვილი მოგება ესპანელ ფრანსისკო ვალეხოსთან. პირველ ორ ტურში წაფორხილების შემდეგ ეს ინდუსის პირველი მუქარიანი სიტყვა იყო.

საერთო ცხრილის პირველი ადგილისთვის რუსები ევგენი ბარეევი და კრამნიკი დაობენ. სწრაფი აზროვნებით ცნობილი ბარეევის ასეთი წინსვლა კი ალბათ იმის ბრალია, რომ ძლიერ მეტოქეს ჯერ არ გადაჰყრია.

**ᲚᲐᲨᲐ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ**

## ევროპის ქალთა ჩემპიონატი

დრეზდენი. 20 მარტი-4 აპრილი

# ზეინაბი ძაგნიძეს არ გაენაბა



ქეთევან არახამია-გრანტი

II ტური

**ნანა ძაგნიძე (საქართველო) — ზეინაბ მამედიაროვა (აზერბაიჯანი) 0:1, ქეთევან არახამია-გრანტი — იანა კრივეცი (სლოვენია) 1:0; ნინო ხურციძე (საქართველო) — ვერა პაპანდოპულო (საბერძნეთი) 0,5:0,5; მაია ლომინეიშვილი (საქართველო) — იანა მელნიკოვა (რუსეთი) 1:0**

*მოცემულია მხოლოდ ქართველთა შედეგები*

ორი ტურის შემდეგ ქეთევან არახამია-გრანტს და მაია ლომინეიშვილს ჩვიდმეტ სხვა მონაწილესთან ერთად ასპროცენტიანი შედეგი აქვთ. „ლიდერთა“ ცხრამეტეულში თითქმის ყველა ფავორიტია მოხვედრილი, შარშანდელ ჩემპიონ, შვედ პია კრამლინგის გარდა, რომელიც რუს ტატიანა სტეპანოვას დაუზავდა და ახლა მოწინავეებს ოდნავ ჩამორჩება.

ასევე მოულოდნელი იყო ჩვენებურის, 17 წლის ნანა ძაგნიძის მარცხი ძველ მეტოქე მამედიაროვთან. შეგახსენებთ, რომ შარშან ზაფხულში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ნანამ სწორედ მამედიაროვთან მოგების შემდეგ იგდო ხელთ ლიდერობა და საბოლოოდ მასპინძელს ოქროს მედალი ცხვირწინ ააცალა.

აზერბაიჯანელი, ცხადია, რევანშისთვის იყო მომართული, ოთხი წლით უმცროს მეტოქეს თავიდანვე შეუტია და უპირატესობაც მოიპოვა. როგორც ჩანს, მამედიაროვა მატჩამდე ქართველზე კარგად იყო მომზადებული და ჩვენებურს დიდი ბრძოლის შემდეგ 70-ე სვლაზე მოუგო.

იოლად გაუმკლავდა მეტოქეს არახამია-გრანტი. საწყისი 10 სვლა მეტოქეებმა ცენტრში ფიგურების მობილიზებას მოანდომეს და ბრძოლა შემდეგ დაიწყეს. შეტაკებაში ქართველმა კრივეცი მალევე გატეხა, ფიგურების ხოცვის გარდა აწყობილი სქემაც დაუნგრია და 33-ე სვლაზე E უჯრაზე მდგარი საკუთარი პაიკი ჩასათვლელ ხაზს ერთ ნაბიჯამდე მიაახლოვა. სლოვენიელმა ერთი კი გადახედა დაფას, თუმც თავისთვის სახეირო ვერაფერი ნახა და ორიოდ სვლაში დანებება არჩია.

დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა მაია ლომინეიშვილმა. დებიუტში მელნიკოვა გააქტიურდა და ჩვენებურს წინ წასვლის გზები დაუხშო, თუმც მაიამ საკუთარ ტერიტორიაზე შეძლო ფიგურების გონივრულად მობილიზება, მტრის ალყაც მალე გაარღვია და 48-ე სვლაზე რუსის ტერიტორიაზე გამარჯვების ალამი აღმართა.

**ᲚᲐᲨᲐ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ**



ნინო ლომაძის ფოტო

# დიდი გადახალისება

მსოფლიოს თასამდე, თასზე და თასის შემდეგ ვერმოგებული ბევრი თამაშის შემდეგ ბორჯღალოსნები გამარჯვების გემოს იხსენებენ. საქართველოს გადახალისებული ეროვნული გუნდი გასახდელში ხალისობს, მას შემდეგ, რაც ამ შაბათს „ეროვნულზე“ 23:7 დასცა ჩეხეთის მონდომებული, თუმცა გამოუცდელი ნაკრები.

# მორიგი ჰოლივუდური

რა თქმა უნდა, „ლეიკერსის“ თამაშიც ლოს ანჯელესის „სტეიპლზ სენთერში“ ხშირად, ტრიბუნაზე კინოვარსკვლავს ძნელად წააწყდები. მისტერ ჯეიმზ ბონდს, პირს ბროსნანს ულვაში დაუმშვენებია და ვაჟი დეილანიც მიუყვანია „ლეიკერსისა“ და „მილუოკის“ თამაშზე.



# ინდონი და ვესტინდონი

თოთხმეტ წელიწადში პირველად ინდოელი მოკრიკეტენი პაკისტანს ეწვივნენ და სრულ სანაკრებო სერიას მართავენ: ჯერ ხუთი ერთდღიანი მატჩის ჯერია, მერე კი სამი ტესტი გაიმართება. ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური შერიგების ერთ-ერთი საშუალება სწორედაც რომ ამ ქვეყნების უსაყვარლესი თამაშია. სამი ერთდღიანის თავზე პაკისტანი 2:1-ს იგებს, ნიუ დელიდან მომქროლავი, ინდური დროშებით გაწყობილი მატარებელი ლაჰორისკენ მიიჩქარის თამამად გაშლილი ინდური დროშებით.

პოლიტიკა არაფერ შუაშია „ქუინზ პარკ ოვალზე“, ტრინიდადის დედაქალაქ პორტ ოვ სპეინში რომ მასპინძლობს ხოლმე კრიკეტს. აქ ინგლისელები მეორე ტესტის მესამე დღეს ჩაუქობენ ვესტინდოებთან და კრიკეტის დიდი ქომაგი, სერ მიკ ჯაგერიც ხარობს.



REUTERS პორტ ოვ სპეინიდან




REUTERS ჰემშირიდან

# ვეტერანის სიკვდილი

ფილადელფიის საბეისბოლო გუნდებმა „ფელიზმა“ და „იგლზმა“ თავთავიანთი სტადიონები აავეს და 33 წლის „ვეტერანზ სტედიუმი“ ცარიელი დარჩა. ჰოდა, მის ადგილას მანქანების სადგომი იქნებაო. ძნელი საცქერია.



REUTERS ფილადელფიიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge